# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 27 ნოემბერი 2003 №226 (1997) ფასი 50 თეთრი


UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ლიგის რჩეულში ორი ქართველი ნაშალეს




მარსელი — რეალი 1:2. რა თქმა უნდა, გოლია... დევიდ ბექემმა ჯარიმა დაარტყა — 0:1



FIFA WORLD PLAYER 2003

# ეს არ არის ტიერის ჟანრი
## სამგზის რონალდო, ორგზის ზიდანი თუ ახალი: ანრი?

*რონალდო, ზიდანი თუ ანრი?*

*ამ სამიდან ერთი ფიფას ვერსიით მსოფლიოს 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელად გამოცხადდება.*

*142 ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთა მთავარი მწვრთნელების გამოკითხვის შედეგებს მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია 15 დეკემბერს ბაზელში ამცნობს საფეხბურთო სამყაროს.*

*ბრაზილიელი რონალდო მწვრთნელთა რჩეული სამჯერ, 1996, 1997 და 2002 წლებშიც გამხდარა, ზინედინ ზიდანს ასეთი პატივი ორჯერ — 1998 და 2000 წლებში რგებია, ტიერი ანრი კი საუკეთესოდ აღიარებასთან ასე ახლოს არასდროს ყოფილა.*

*ორი ფრანგი ერთი ბრაზილიელის წინაალმდეგ, ორი რეალელი ერთი არსენალელის პირისპირ.*

*მალე 15 დეკემბერიც მოვა.*



# ჩემპიონთა ლიგა

## ჯგუფური ეტაპი. V ტური. წუხელ

### E ჯგუფი

**შტუტგარტი 1:0 რეინჯერსი**

1:0 ჰენცელი (45)
**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ვენცელი, ლამი, სოლდო, მაისნერი, ჰელდტი (ტიფერტი 49), გლები (სენტურიონი 73), კურანი, საბიჩი (ბრანკო 89)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
**რეინჯერსი:** კლოსი, რიკსენი, ბერგი, **ხიზანიშვილი**, ბოლი, როსი (ოსტენსტადი 70), ვანოლი (მოლსი 55), ხ. ჰიუზი, ნუნუ კაპუშუ, **არველაძე**, ლოვენკრანდსი (ბარკი 80)
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
გაფრთხილება: ჰიუზი, მაისნერი, ლოვენკრანდსი
მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
50 348 მაყურებელი

**პანათინაიკოსი 0:1 მანჩესტერი**

0:1 ფორლანი (85)
**პანათინაიკოსი:** ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სეიტარიდისი, გუმასი, მიუნხი, მარიჩი, ბასინასი, ფუტაუტასი, სანმარტიანი (ეპალე 46), დ. პაპადოპულოსი (საპანისი 82), კონსტანტინუ (ვლაოვიჩი 68)
მწვრთნელი: იცხაკ შუმი
**მანჩესტერი:** ჰოვარდი, ფერდინანდი, ოში, სილვესტრი, ფორჩუნი, კ. რონალდო, ბათი, გიგზი, ფლეტჩერი (ბელიონი 68), კლებერსონი, ფორლანი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: მიუნხი, ფერდინანდი, გუმასი
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
6 890 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:4 | 12 |
| მანჩესტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:2 | 12 |
| რეინჯერსი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| პანათინაიკოსი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:12 | 1 |

*„შტუტგარტი" და „მანჩესტერი" გავიდნენ მერვედფინალში*

**ბოლო ტური, 9 დეკემბერი**

რეინჯერსი — პანათინაიკოსი
მანჩესტერი — შტუტგარტი

### F ჯგუფი

**მარსელი 1:2 რეალი**

0:1 ბექემი (35), 1:1 მიდო (63), 1:2 რონალდო (73)
**მარსელი:** რუნიე, მეიტე, ვან ბუიტენი, კრისტენვალი, ეკერი, მერიემი, ჰემდანი, სელესტინი, ვახოუშეკი (სიჩოვი 71), დროგბა, მიდო (ფერნანდაო 80)
მწვრთნელი: ალენ პერენი
**რეალი:** კასილიასი, სალგადო, ელგერა, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი (სოლარი 80), ფიგუ, ბექემი, კამბიასო, ზიდანი (გუტი 85), რაული, ლ. რონალდო (რუბენი 90)
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
გაფრთხილება: ვახოუშეკი, რაული, ბექემი
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
59 000 მაყურებელი

**პორტუ 2:1 პარტიზანი**

1:0, 2:0 მაკკარტი (25, 50), 2:1 დელიბაშიჩი (90)
**პორტუ:** ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, მარიუ სილვა, მანიშე, კოშტინია, დეკო სოუზა, ბოსინგვა (პ. მენდეში 46), მაკკარტი (უგო ალმეიდა 67), დერლეი სილვა (იანკაუსკასი 80)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
**პარტიზანი:** პანტიჩი, ჩირკოვიჩი (რადოვიჩი 38), სავიჩი, ნ. ჯორჯევიჩი, მალბასა, დულიაი, სტოიანოსკი (დრულოვიჩი 78), ილიჩი (ჩაკარი 58), ივიჩი, დელიბაშიჩი, ილიევი
მწვრთნელი: ლოთარ მათეუსი
გაფრთხილება: მანიშე, ჟორჟე კოშტა
მსაჯი: პოლ ალერტი (ბელგია)
23 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 13 |
| პორტუ | 5 | 3 | 1 | 1 | 8:7 | 10 |
| მარსელი | 5 | 1 | 0 | 4 | 8:10 | 3 |
| პარტიზანი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:7 | 2 |

*„რეალი" და „პორტუ" გავიდნენ მერვედფინალში*

**ბოლო ტური, 9 დეკემბერი**

რეალი — პორტუ
პარტიზანი — მარსელი

### G ჯგუფი

**ჩელსი 0:0 სპარტა**

**ჩელსი:** კუდიჩინი, მელხიოტი, გალასი, ტერი, ბრიჯი, ჯ. კოული (ჯერემი 73), მაკელელე, ლამპარდი, დაფი, კრესპო (გუდიონსენი 73), მუტუ
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
**სპარტა:** ბლაჟეკი, ლაბანტი, პერგლი, ჰუბშმანი, ჰომოლა, პობორსკი, რადოსლავ კოვაჩი, ზელენკა (ფლახბარტი 87), სიონკო (იეჟეკი 90), კრმაში, მიხალიკი (გლუშკევიჩი 73)
მწვრთნელი: ირჟი კოტრბა
მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)
40 152 მაყურებელი

**ლაციო 1:1 ბეშიქთაში**

0:1 პანჩუ (45პ), 1:1 მუცი (56)
**ლაციო:** პერუცი, ოდო, სტამი, ნეგრო, ფავალი (ძაური 54), ს. კონსეისაუ (ფიორე 46), ალბერტინი, ჯანიკედა (მუცი 46), სტანკოვიჩი, კორადი, ს. ინძაგი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
**ბეშიქთაში:** ო. კორდობა, ემრე აშიქი, გიარო, ძაგო, ოკან კოჩი, ტაიფური, ჯუნტი (აჰმეთ ილდირიმი 89), იბრაჰიმი, პანჩუ, სერგენი (ტუმერი 79), ილჰან მანსიზი
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
გაფრთხილება: ემრე აშიქი, მუცი, ჯუნტი, კორადი
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
49 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| ბეშიქთაში | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| სპარტა | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ლაციო | 5 | 1 | 2 | 2 | 6:9 | 5 |

*„ჩელსი" გავიდა მერვედფინალში*

**ბოლო ტური, 9 დეკემბერი**

სპარტა — ლაციო
ბეშიქთაში — ჩელსი

### H ჯგუფი

**აიაქსი 0:1 მილანი**

0:1 შევჩენკო (51)
**აიაქსი:** ლობონტი, ნ. დე იონგი, ესკუდე, იაკუბუ, მაქსველი, პეიტინგა, გალაშეკი, ობოდაი (ვამბერტო 55), სნეიდერი, მიტია (სიკორა 76), იბრაჰიმოვიჩი (ლიტმანენი 40)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
**მილანი:** დიდა, კაფუ, ლაურსენი (პანკარო 46), მალდინი, კოსტაკურტა, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა (რუი კოშტა 76), შევჩენკო, ფ. ინძაგი (ამბროზინი 70)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ინძაგი, იაკუბუ, გალაშეკი
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
50 210 მაყურებელი

**სელტა 1:1 ბრიუგე**

1:0 მოსტოვოი (74), 1:1 ლანგე (90)
**სელტა:** კავალიერო (პინტუ 62), ანხელი, ბერიზო, სერხიო, სილვინიო (გუსტავო ლოპესი 46), ხესული, ლუქსენი, ხოსე იგნასიო, ხუანფრანი, მოსტოვოი (ხანდრო 78), მილოშევიჩი
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
**ბრიუგე:** ვერლინდენი, დე კოკი, სიმონსი, როზენალი, გვოზდენოვიჩი (ლანგე 81), ენგლებერტი, კლემანი, ჩეპი (როელანდტსი 85), ს. მარტენსი, ვერპეინი, შატერნსი
მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი
გაფრთხილება: ვერლინდენი, სილვინიო, ენგლებერტი, შატერნსი, პინტუ
მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)
22 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 5 | 3 | 1 | 1 | 3:1 | 10 |
| აიაქსი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:5 | 6 |
| სელტა | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| ბრიუგე | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 |

*„მილანი" გავიდა მერვედფინალში*

**ბოლო ტური, 9 დეკემბერი**

მილანი — სელტა
ბრიუგე — აიაქსი

*ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა ტურმა ის რვა გუნდი გამოავლინა, რომლებმაც მერვედფინალში წინდაწინ დაიგულეს თავი — „იუვენტუსს", „მონაკოს", „შტუტგარტს", „მანჩესტერს", „რეალს", „პორტუს", „მილანს" და „ჩელსის" დანარჩენები ბოლო, 10 დეკემბერს გასამართი ტურის შემდეგ შეუერთდებიან. ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირს გამოეთხოვა გლაზგოს „რეინჯერსი", რაც იმას გულისხმობს, რომ ჩვენებურებს, შოთა არველაძესა და ზურაბ ხიზანიშვილს უეფას თასზე თამაშის შანსიღა შერჩათ. საამისოდ გუშინ „შტუტგარტთან" 0:1 დამარცხებულმა „ჩაფრებმა" ლიგის ბოლო ტურში ბერძნულ „პანათინაიკოსს", სულ მცირე, გლაზგოში ქულა უნდა დაატოვებინონ.*

*მერვედფინალში ითამაშებს კახა კალაძის „მილანი", რომელმაც წუხელ „ამსტერდამარენაზე" ანდრეი შევჩენკოს კინკილა გოლით აჯობა „აიაქსს" და ჯგუფში პირველობა გაინაღდა. ითამაშებს თუ არა კალაძე მერვედფინალში, ჯერ კიდევ გასარკვევია. კახამ ტრავმა ბოლომდე ვერ მოიშუშა, თუმც საპლეიოფო შეხვედრები გაისად თებერვალშია და იმედია, მანამდე კალაძეც მოშჯობინდება.*

*რობერტო მუცის მოხდენილი „მაკრატელათი" გატანილი გოლი, „ლაციოს" ოდენ გასათანაბრებლად ეყო და „ბეშიქთაშს" რომიდან ქულა გაატანა. ამადაცაა C ჯგუფში სატურნირო ვითარება, ერთობ რომ ჩაიხლართა. „ჩელსის" თავი ქუდში აქვს, მის კვალში ჩამდგარ სამეულს კი მერვედფინალის საგზურის მოსაპოვებლად 10 დეკემბერს მოუწევთ თავპირის მტვრევა.*



REUTERS შტუტგარტიდან

შტუტგარტი — რეინჯერსი. შოთა არველაძეს ცდა არ დაუკლია, მაგრამ ის და მისი თანაგუნდელები ლიგას დაემშვიდობნენ



REUTERS რომიდან

ლაციო — ბეშიქთაში. რობერტო მუცის გოლი მართლაც კარგი იყო, მაგრამ რომაელებს ოდენ ქულისთვის ეყოთ

### შვეიცარია

**ჩელენჯ ლიგა**
**გადადებული მატჩი**

სიონი 3:0 ბადენი

### უკრაინა

**თასის 1/4 ფინალი**
**საპასუხო მატჩი**

შახტარი 3:1 სტალი (0:0)

## კალათბურთი

## ევროლიგა

### პირველი ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 26 ნოემბერი

**A ჯგუფი**

ულძერი 67:63 რომა

**B ჯგუფი**

პანათინაიკოსი 58:69 ცსკა

**C ჯგუფი**

ბენეტონი 80:59 ვილერბანი
ალბა 95:89 ტაუ
შლიონსკი 85:88 პამესა



# საგადასახადომ ნემსაძე შეამცირა

ცუდი ამბავი შოტლანდიიდან: გიორგი ნემსაძის „დანდი" გაკოტრების პირასაა, საგადასახადო სამსახურმა კლუბს 10 მილიონ გირვანქაზე მეტი დავალიანება აღმოუჩინა, მაღალხელფასიან ფეხბურთელებს კი თავისუფალი აგენტის სტატუსი მისცა და გუნდიდან მათი გაშვება მოითხოვა. „შემცირებაში" მოჰყვა ჩვენიანიც, ის და კიდევ ექვსი ფეხბურთელი გუშინდლიდან ახალი კლუბების ძიებას შეუდგნენ.

— „დანდის" გაკოტრებისა და გუნდიდან ჩემი თავისუფალ აგენტად გაშვების ამბავი პირველად გაზეთებიდან შევიტყვე. იქამდე კლუბის ფინანსურ კრიზისზე არავის არაფერი უთქვამს, დღეს კი „დანდის" უფროსობას თავად შევხვდი და საქმეები წვრილად გავარკვიე. კლუბს არც ხელფასის გადახდა შეუძლია და არც ორი თვის ვალისა, ჩემი რომ მართებს. ხელმძღვანელებს გული დასწყდათ, რომ გუნდიდან იძულებით მიშვებენ, მაგრამ საგადასახადო სამსახური მათ უკვე არაფერს ეკითხება. ფეხბურთელთა სტატუსის განსაზღვრა კლუბის საქმე აღარაა, ყველაფერს საგადასახადო სამსახური აკეთებს. „დანდის" ფეხბურთელებზე უფლებები ჩამოერთვა. ვინც გუნდში რჩება, მათ ხელფასს სწორედ ეს სამსახური გადაუხდის.

**— კიდევ რამდენი ფეხბურთელი გაათავისუფლეს?**

— ჩემს გარდა ექვსი, მათ შორის „დანდიში" ახლახან გადმოსული რავანელი, რომელსაც რამდენიმე თვის ხელფასიც დაუგვიანეს და, მგონი, აღარც მისცემენ. მოკლედ, ვინც კი მაღალხელფასიან ფეხბურთელად ვითვლებოდით, საგადასახადო სამსახურმა ყველას თავისუფალი აგენტის სტატუსი მოგვცა.

**— თავისუფალი აგენტის სტატუსი თუ გაქვს, სატრანსფერო სეზონის გახსნამდე ლოდინი არ დაგჭირდება.**

— რამდენიმე აგენტი უკვე დამიკავშირდა და სატრანსფერო უფლებები მთხოვა. ისინი უკვე მუშაობენ, რათა ჩემთვის ახალი კლუბი გამონახონ.

**— რაიმე წინადადება უკვე მიიღე?**

— ჯერ არა, ალბათ ორ-სამ დღეში დამიკავშირდებიან.

**— შოტლანდიაში დარჩენას ამჯობინებ?**

— ვნახოთ, უარს არ ვიტყვი, თუმც შემოთავაზებასაც გააჩნია.

**კობა ინასარიძე**

---

საქართველოს 15 ჩემპიონატი, უმაღლესი ლიგა, პირველი ეტაპი

# 20 ტური

ფოთი. 26 ნოემბერი. 15 საათი. ფაზისი. 600 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 0:6 თბილისი

0:1 კვარაცხელია (12), 0:2 აფციაური (16), 0:3 ოდიკაძე (41), 0:4 მიკუჩაძე (79), 0:5 გეწაძე (81), 0:6 მიკუჩაძე (84)

| | |
|---|---|
| **კოლხეთი:** ბათიაშვილი, თაყაძე, ქუტიძე, მინდაძე, მ. ქობულაძე (ბალათურია 60), შ. ლონდაძე, ლაღანიძე (მალანია 61), სვანაძე (კახაძე 60), ტუღუში, მარგალიტაძე, კრასოვსკი; *სათადარიგონი:* ჩემია; ნარსია | **თბილისი:** ნაჭყებია, კვარაცხელია, ლოლაძე (გეწაძე 62), სიდამონიძე, ელიავა, მეხი, ხოჯავა, გ. ნუგ. ჭელიძე (გოგიტა გოგუა 46), აფციაური, დ. ოდიკაძე (გ. ნოდ. ჭელიძე 53), მიკუჩაძე; *სათადარიგონი:* ივარდავა; ყველაშვილი, მიქიაშვილი, მემარნიშვილი |
| **მწვრთნელი:** გია ტყებუჩავა | **მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი |

**გაფრთხილება:** სვანაძე (18), გ. ნუგ. ჭელიძე (39), მარგალიტაძე (72), კვარაცხელია (73), ტუღუში (75), გოგუა (85)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, ბ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე; **დირექტორი:** ბ. სიჭინავა

**ჯარიმა:** 10-24; **კუთხური:** 5-3; **კარისკენ დარტყმა:** 2-7; **კარში დარტყმა:** 2-10; **თამაშგარე:** 0-3

# დაწერეთ... კოლხეთი უპატრონოა!

## ფოთელებმა ტყებუჩავას ხათრით ერთხელაც ითამაშეს „პოსლეზე"

**პაატა კვანტალიანი** ფოთიდან

**დაწერეთ,** დამალვას აზრი არა აქვს, „კოლხეთი" უპატრონოდაა მიგდებული. ჯემალ ინაიშვილი მეცოდება, კაცი ამდენს ცდილობს და სხვები გარჯას წყალში უყრიან. მათი წყალობით დღეს ფოთის ფეხბურთი უპატრონოდაა მიტოვებული — ცხარობდა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე გია ტყებუჩავა. „კოლხეთის" თავკაცმა ისიც თქვა, მატჩი ჩაშლის პირზე იყო, მოტყუებულ ბიჭებს სათამაშოდ გასვლა არ უნდოდათო.

ტყებუჩავას ხათრით ფეხბურთელებმა კიდევ ერთხელ ითამაშეს „პოსლეზე" და არნახულადაც შერცხვნენ. „თბილისმა" ექვსი უპასუხო გოლი გაუტანა მასპინძლებს.

...ტაბლოზე 0:4 რომ აინთო, ფოთელები შუქის ჩაქრობას ნატრობდნენ, ტაბლოც ხომ გაითიშებაო. მასპინძლებმა ძალზე სუსტად კი ითამაშეს, მაგრამ ამან ოდნავადაც ვერ გააფერმკრთალა სტუმართა გამარჯვება. საცოდაობა იქნება, ეს ბიჭები ექვსეულს მიღმა რომ აღმოჩნდნენ. გიორგი დევდარიანის გუნდმა გუშინ ატალახებულ, წამხდარ „ფაზისზე" ლამაზი და ეფექტური ფეხბურთი ითამაშა. „თბილისმა" სანიმუშო დისციპლინით, გონივრული ტაქტიკით და მოთამაშეთა ინდივიდუალიზმით შთამბეჭდავი საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარა მეტოქეს. სტუმართა თითოეული შეტევა სახიფათო იყო. მასპინძელთა მცველები, ფაქტობრივად, უღონონი იყვნენ ასეთ სიტუაციაში და მეკარე ბათიაშვილს რომ არ ეყოჩაღა, ანგარიში გაცილებით დიდი იქნებოდა.

სტუმრებმა პრაქტიკულად 16 წუთში მოამთავრეს საქმე. „კოლხეთში" ნათამაშევი ოდიკაძის ორ პასს კვარაცხელიას და აფციაურის გოლები მოჰყვა, ტაიმის ბოლომდე ოდიკაძე პირველი ნახევრის გმირად იქცა და აფციაურის ქუსლით პასისას აუღებელი დაურტყა ბათიაშვილს — 0:3.

მეორე ტაიმის საწყის ათ წუთში „თბილისს" მინიმუმ ხუთჯერ შეეძლო გატანა. ხუთივე ეპიზოდში სტუმრებმა სწრაფი კონტრშეტევები ააწყვეს. გიორგი დევდარიანის გუნდს ტემპის მიუხედავად დაღლა არც ბოლოსკენ დასტყობია. მეტიც, ფლანგური შეტევებით უპრობლემოდ დაჩაგრა მეტოქე, რასაც შეცვლაზე შესული გეწაძის გოლი და მიკუჩაძის დუბლი მოჰყვა.

მასპინძელთა შეტევებზე კი არაფერია სათქმელი. „კოლხეთმა" მეტოქის კარისკენ პირველად მე-60 წუთზე დაარტყა.



როდემდე? კითხულობს გია ტყებუჩავა

# იავნანა

## გაიღვიძე, არ შეგცივდეს

**ვაჟა ხუციშვილი**

**ორი ვარიანტია:** ან სახლში არ შეუშვეს, ანაც შეგნებულად მოვიდა თამაშზე, იცოდა, რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩების უმეტესობა მაყურებელზე ბანგივით მოქმედებს და გამოძინება „ლოკომოტივის" სტადიონზე გადაწყვიტა. ვინ იყო ის ბანგდაცემული, ზამთრისპირა სიცივეში ტრიბუნაზე რომ გამოიძინა, არ ვიცი, მაგრამ მე თუ ვუყურე შეხვედრას, მასზე იოტისოდენით მეტი ვნახე. მაგალითად, როგორ გულდაწყვეტილი დარჩა ერთი ვაჟკაცი, რომელსაც მზესუმზირის საკვნეტად წვეული მტრედი ხელიდან დაუსხლტა. ეს იყო ერთ-ერთი საინტერესო მომენტი ამ მატჩში, ოღონდ ზუსტად ვერ ვიხსენებ, რომელ წუთზე მოხდა.

პირველი ოცი წუთის განმავლობაში ბურთი „ლოკომოტივის" ნახევარზე უფრო ხშირად დაგორავდა, მაგრამ სპარტაკელებმა კარისკენ გზა ვერ მიასწავლეს. მათი დაბალსიჩქარიანი შეტევები „ლოკომოტივის" მცველებისთვის იოლად მოსაგერიებელი გახლდათ.

„სპარტაკის" საჯარიმოში მეტოქე ფეხბურთელები ტაიმის შუაწელში გამოჩნდნენ. ჩიკვილაძემ თავის კარის სიახლოვეს სირაძის გაბითურება მოიწადინა, მან კი ბურთი ააფცქვნა და ნანას მიაწოდა. განელმა სამიოდ მეტრიდან ძლიერად ჰკრა და მამალაძეს გაუტანა.

შესვენებამდე ღირსშესანიშნავი სხვა არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ბოლქვაძის დარტყმული ბურთი ხაჩირაშვილმა მოიგერია და მატჩში პირველი კუთხური „გამოცხვა". მთლიანობაში კუთხური სულ ექვსი გამოვიდა, მათგან ხუთი მეორე ტაიმისა იყო.

მეორე „სერია" პირველის მსგავსი გამოდგა, ოღონდ სპარტაკელებმა შორიდან დარტყმებს მოუხშირეს. კარში წასული ბურთები სუსტი და სამეკარეოდ წინასწარ განწირული გახლდათ.

თავის მხრივ, „ლოკომოტივი" დიდი ძალებით არ უტევდა. წინ მხოლოდ განელი ნანა დარბოდა, რომელიც ბურთის მიღებისთანავე ან მეურვისგან დასხლტომას ლამობდა (თან ამაოდ), ან უკან პასს აკეთებდა, რითაც შეტევის სიმწვავეს ანელებდა.

შეხვედრის 83-ე წუთზე „სპარტაკმა" გოლის გატანა მოახერხა. მარჯვენა ფლანგიდან ბოლქვაძემ კარის წინ ჩააწოდა და ორ მცველს შუა მოქცეულმა ტატანაშვილმა ბურთს თავი დაჰკრა. ბურთი ხარიხას მოხვდა, დაბლა დაეცა, ისევ ახტა, ხაზის შიგნით დაეშვა და როცა მასპინძლებმა ზეიმი დააპირეს, მალალურაძემ დაუსტვინა — გვერდით მსაჯს შეუმჩნევია, რომ ბოლქვაძის პასისას ერთ-ერთი სპარტაკელი თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა. პროტესტი არატრადიციული გამოდგა. ქვა არავის უსვრია, მსაჯის საცემად არავინ გაწეულა, მცირე დოზით გინება კი ვის გაუკვირდება.

მატჩის ბოლო წუთზე უგრეხელიძემ საჯარიმო შეასრულა, სალუქვაძემ კი ბურთს საგოლე თავური მიაყოლა.

თამაშის დასრულებისთანავე მძინარემ გაიღვიძა, ტაბლოს შეხედა და წავიდა. კაცმა იცოდა, რომ თანამედროვე ფეხბურთში მთავარი შედეგია.

თბილისი. 26 ნოემბერი. 15 საათი. ლოკომოტივი. 150 (ტევადობა 25 600)

## სპარტაკი 0:2 ლოკომოტივი

0:1 ნანა (24), 0:2 სალუქვაძე (90)

| | |
|---|---|
| **სპარტაკი:** მამალაძე, წურწუმია, ფვანია, დონდოლაძე, ჩიკვილაძე, კ. ალადაშვილი, ბოლქვაძე, იმნაიშვილი (ფირცხალავა 60), გ. დოლიძე, ურუშაძე (ტატანაშვილი 59), ბ. გოცირიძე; *სათადარიგონი:* შეყრილაძე; ებრალიძე, ფიფია, რიჟამაძე | **ლოკომოტივი:** ხაჩირაშვილი, უგრეხელიძე, ვაშაკიძე, ლ. სალუქვაძე, ორბელაძე, მ. ბურნაძე (მანჯავა 64), სიჭინავა, ქემოკლიძე, სირაძე, ქოქიაშვილი (რ. ონიანი 56), ნანა (ხომერიკი 89); *სათადარიგონი:* ბოდოკია; გ. მიქაძე, ლ. რეხვიაშვილი, სანიკიძე |
| **მწვრთნელი:** ვასილ ჭეიშვილი | **მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი |

**გაფრთხილება:** ბურნაძე (13), ქოქიაშვილი (51), ნანა (88), ორბელაძე (90)

**მსაჯები:** მ. მალალურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია; **დირექტორი:** გ. ცაავა

**ჯარიმა:** 15-14; **კუთხური:** 3-3; **კარისკენ დარტყმა:** 6-2; **კარში დარტყმა:** 4-3; **თამაშგარე:** 2-2



თამაში იავნანა, გოლი — ნანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 26 ნოემბერი. 15 საათი. ეროვნული. 150 (ტევადობა 70 900)

## დინამო 3:1 მცხეთა

0:1 ავალიანი (19), 1:1 იაშვილი (44), 2:1 დარასელია (69), 3:1 ალექსიძე (89)

**დინამო:** გვარამაძე, ხიზანეიშვილი (ანჩაბაძე 60), წერეთელი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, ბურდული, დარასელია, ს. იაშვილი (მელქაძე 82), ალექსიძე
*სათადარიგონი:* ზოიძე; კაშია, სახვაძე, ი. სამხარაძე, მ. ბობოხიძე
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**მცხეთა:** თ. ოდიკაძე, ამბიძე, ჯაფარიძე, ჩაჩუა, რაქვიაშვილი, ავალიანი, ხიდაშელი (თირქია 30), ლ. ჩხაიძე, ბ. ნოზაძე (გვენცაძე 84), პარამონოვი, ჩილვინაძე (სუბელიანი)
*სათადარიგონი:* ცინაძე; მუშუქია, კირვალიძე, სიამაშვილი
**მწვრთნელი:** ვლადიმერ გუცაევი

**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო; **დირექტორი:** რ. შოთაძე

ჯარიმა: 11-7; კუთხური: 11-6; კარისკენ დარტყმა: 11-2; კარში დარტყმა: 9-4; თამაშგარე: 6-2

# შემოდგომის თავადები



თამაზ ოდიკაძემ ვიტალი დარასელიას აუღებელი დარტყმული ვერც აიღო

## მცხეთას ვარდი და ხავერდი უშველის?

დავით თავართქილაძე

**მცხეთელთა** პატრონი და დამრიგებელი ვლადიმერ გუცაევი ვინძლო რევოლუციურ ეიფორიაშია — „ნაციონალურ მოძრაობის" წევრი თავის გუნდთან გუშინაც არ იყო. არადა, „მცხეთას" ის ძალიან სჭირდებოდა და იქნებ მის ხელში არც წაეგო.

პირველ წრეში „მცხეთამ" შინ 2:0 მოუგო „დინამოს", მაგრამ პირველ წუთებში ივო შუშაკის გუნდი გაბრაზებულსა და ბოლმიანს არ ჰგავდა. მატჩი ტლანქად დაიწყო, მასპინძლებს თითქოს ნიათი აკლდათ, ჰოდა, სტუმრებიც გათამამდნენ და ლამაზი გოლით დაწინაურდნენ — ზურაბ ავალიანმა სლალომური სოლო რეიდი იკისრა და ლონიერი ცაციით 15-16 მეტრიდან აფართხალა ბურთი დავით გვარამაძის კარში.

ამის მერე „დინამოს" ძარღვი აუტოკდა და ორ საგოლე მომენტს გამორჩა — რატი ალექსიძის თავური ზუსტად თამაზ ოდიკაძისკენ წავიდა, ხოლო მამუკა წერეთელმა 3-4 მეტრიდან ააცილა „მცხეთას" კარს.



რატი ალექსიძე ყველა მდგომარეობიდან ისვრის

შემოტევის პირველ ტალღას „მცხეთამ" გაუძლო. თუმც სტუმრები მხოლოდ თავდაცვით როდი კავდებოდნენ. მოედნის ცენტრში ლაშა ჩხაიძე, ბექა ნოზაძე და ავალიანი საკმაოდ კარგად მოქმედებდნენ, მაგრამ სტუმართა ფორვარდები ძალიან უმარილოდ ირჯებოდნენ — არადა, „დინამოს" დამცავი ბარიერები რამდენჯერმე მოირყა. მოკლედ, ფორვარდის საკეთებელ საქმეს „მცხეთა" ვერ ეჭიდებოდა

„დინამომ" კი კვლავ მიუშვა მეტოქეზე გასატანი მომენტების ჯერი — ვიტალი დარასელიას ოდიკაძემ აუღო, ალექსიძემ ხარიხას მოარტყა ბურთი. მაგრამ „მცხეთა" მაინც უტევდა და კონტრიერიშზე დაისაჯა კიდეც — ლადო ბურდულის პასით სანდრო იაშვილი მეკარესთან პირისპირ გავიდა და მოხდენილად გადაავლო ბურთი გაწოლილი ოდიკაძის ფეხებს — 1:1.

თქმა არ უნდა, „მცხეთას" პირველი ტაიმი მშრალად რომ გაეძლო, არწაგების მეტი შანსი შერჩებოდა. შესვენების შემდეგ ნოზაძის სახიფათო დარტყმა გვარამაძემ გააქვავა ხელებში და შემდეგ, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი გუნდი უტევდა. თუმც 25 წუთი „მცხეთა" მაგრად იდგა — დროის ამ მონაკვეთში შუშაკელებს საგოლე შანსი არ ჰქონიათ, ერთი ეგ იყო, ალექსიძე ორ მცველში დატრიალდა და არაზუსტად დაარტყა.

უნდა აღინიშნოს ის, რომ 18 წლის იაშვილი მეორე ტაიმში დინამოელთაგან ერთ-ერთ საუკეთესო იყო. აქტიურობდა ბურდულიც, რომელსაც ტრავმირებული კარლოსის და გრიპშეყრილი ლადო ახალაიას არყოფნაში თავის საყვარელ მარჯვენა ფლანგზე შლიგინი ხშირად უწევდა.

„მცხეთას" საჯარიმოში შეჭრილმა ვიტალი დარასელიამ კი გიორგი ანჩაბაძის პასი მშვენივრად დაამუშავა, ცაციაზე გაისწორა და მაღალ კუთხეში საშინელი ძალით აუშვა — 2:1.

ანჩაბაძის კარგი პასით ლევან მელქაძესაც მართებდა გატანა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. წერტილი ალექსიძისა გამოდგა — ბურდულის ჩაწოდებულზე ჯერ კარისკენ გაიხედა და მერე თავურით გადაავლო ბურთი წინ გამოსულ ოდიკაძეს.

*გია ყაჩლავაშვილი, „მცხეთას" მწვრთნელი:* პირველ წრეში ჩვენთან მარცხის შემდეგ „დინამოს" რევანში უნდოდა და უფრო მძიმე თამაშს ველოდით. მეტოქემ დამსახურებულად გაიმარჯვა, მაგრამ მეტი იღბალი რომ გვქონოდა, შესაძლოა, სხვა შედეგით დამთავრებულიყო მატჩი.

*ივო შუშაკი:* თამაშის წინ საგანგებო კრება ჩავატარეთ — ამ შეხვედრაში ფავორიტად ვითვლებოდით და ამას გუნდზეც ცუდად რომ არ ემოქმედა. ანგარიშის გათანაბრებამ მეტი ხალისი, რწმენა და აგრესია შეგვმატა. შემოდგომის ჩემპიონები ჩვენ ვიქნებით.

# გორის დროით, დილის ნახევარია

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

**საზღვაოსნეულო** ამბიციების გასამტკიცებლად „ბათუმს" საკმაოდ კარგი შანსი მიეცა. ზედიზედ სამი საშინაო მატჩის მოგება და ზღვისპირელები, ფაქტობრივად, მიზანს მიაღწევენ. გუშინ მათ საამისოდ პირველი ნაბიჯი გადადგეს, ოღონდ საკმაოდ მძიმე.

„დილამ" დისკვალიფიცირებულთა და ტრავმირებულთა სახით 7 კაცი მოისაკლისა და განახევრებული შემადგენლობით რაც შეეძლო, ბოლომდე ჟინიანად იბრძოლა. დიდი შანსი იყო, არც წაეგო, თუმცა ჯერ ხაჭაპურიძემ დაალალატა, მერე კი სერგო კვარაცხელიამ: პირველმა ერთადერთ გაშვებულ გოლში ლომის წილი დაიდო, მეორემ კი საკმაოდ საეჭვო სიტუაციაში არ ჩაუთვალა სტუმრებს ბოლოსკენ გატანილი გოლი.

ერთადერთი, მაგრამ საკმაო დანაკლისი დაეჩივლებოდათ მასპინძლებსაც. მათი მთავარმეგოლე კაკალაძე დისკვალიფიცირებული გახლდათ და მისი არყოფნა ძალიან დაეტყო გუნდის შემტევ პოტენციალს.

თავად შეხვედრა დიდად თვალსასეირო არ გამომდგარა. სტუმრებმა მოახერხეს ბათუმელთა იერიშების მოთოკვა და საკმაო ხანი სასურველი ტაქტიკაც მოახვიეს თავს.

პირველი ხიფათი მეშვიდე წუთზე შეიქმნა „დილას" კართან. შენგელიას ჩაწოდებული ბურთი გუშარაშვილმა თავით დაუგდო დარჩიძეს; ამან დარტყმა ვერ მოახერხა, მაგრამ ბურთი უკეთეს პოზიციაში მყოფ გალოგრეს მიუგორდა, რომელმაც აშკარა გასატანი შანსი დაკარგა.

გორელებმა მალე უპასუხეს და გალოგრემ თავისი შეცდომა უკვე საკუთარ საჯარიმოში გამოასწორა — სულთანიშვილს თავისუფალი მოქმედების საშუალება მოუსპო.

ამ ეპიზოდმა სტუმრებს სითამამე შემატა და ტაიმის შუისკენ მათ კიდევ ერთხელ შეაწუხეს მეტოქე. საკმაოდ აქტიურმა სულთანიშვილმა თავით სცადა გატანა და მეტოქე მცველის თავით მიმართულებაშეცვლილი ბურთი კინაღამ ქვაჩახიას კარში ჩაეშვა.

ეს იყო და, შესვენებამდე მომენტი, სახიფათო რომ ეთქმოდა, არც ერთ კართან არ შექმნილა. ბრძოლა ძირითადად ცენტრში იყო, სადაც გორელები პრესინგის ხარჯზე ცდილობდნენ მასპინძელთა შევიწროვებას.

„ბათუმის" სამწვრთნელო ტანდემმა ორმაგი შეცვლით სცადა სიტუაციის განმუხტვა და გუნდი გასატანად დაგეშა. მასპინძლებმა მოძრაობას და ტემპს უმატეს, მაგრამ გატანის რეალური შანსი ვერა და ვერ შეიქმნეს. ასე გაგრძელდა კარგა ხანს და ბევრს ეჭვი შეეპარა, გოლს ვერ ვიხილავთო.

თუმცა 77-ე წუთზე გორელთა ლიბერომ რევაზ ხაჭაპურიძემ საჰაერო ორთაბრძოლისას თავისი მეკარისთვის ბურთის დაბრუნება სცადა, ოღონდ ჯეროვნად ვერ მოზომა, ბურთს ძალა ვერ მიატანა. სამაგიეროდ, მას ძალა იქვე დადარაჯებულმა ფირცხალაიშვილმა მიატანა ჭვინტით და „შუმახერა" უძლური შეიქნა, თავს ზემოთ გადავლებული ბურთი მოეხელთებინა.

ბათუმი. 26 ნოემბერი. 15 საათი. დინამო. 800 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 1:0 დილა

1:0 ფირცხალაიშვილი (77)

**ბათუმი:** ქვაჩახია, კობიძე, გუშარაშვილი, გალოგრე, დუმბაძე, მახარაძე, რომანაძე (მანჩხავა 46), ბესიკ თედორაძე (ფირცხალაიშვილი 46), ი. შენგელია, სირბილაძე (ფურცხვანიძე 67)
*სათადარიგონი:* ი. ბალაძე; ცანავა, ბეჟანიძე, ბეგლარ თედორაძე
**მწვრთნელი:** ვალერიან ჩხარტიშვილი

**დილა:** სოლოლაშვილი, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, რაზმაძე, მასურაშვილი (დ. ნადირაძე 85), ხანიშვილი, მარლიშვილი (გ. კაიდარაშვილი 78), გ. ჩიტაია, ოლგესაშვილი, სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; ქარქუზაშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი

**გაფრთხილება:** რაზმაძე (55), ფირცხალაიშვილი (60), ხანიშვილი (72), ბალაშვილი (74), ხაჭაპურიძე (88)

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (სამივე ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ლ. ჩილაჩავა; **დირექტორი:** ო. კორღალიძე

ჯარიმა: 12-8; კუთხური: 5-5; კარისკენ დარტყმა: 6-3; კარში დარტყმა: 4-1; თამაშგარე: 3-2

„დილა" თამაშის გადარჩენას შეეცადა, მეტოქეც გვარიანად შეავიწროვა და გოლიც გაიტანა, მაგრამ... 86-ე წუთზე რაზმაძემ წამით დაასწრო წინ გამოსულ ქვაჩახიას და თავით გატანაც მოახერხა. კვარაცხელიამ მეკარეზე თავდასხმა დააფიქსირა და გოლი არ ჩათვალა. არადა, ისე ჩანდა, თავდამსხმელმა მეკარეს ბურთზე დაასწრო და მხოლოდ შემდეგ მოხდა შეჯახება.

ნამატჩევს „დილას" თავკაცი ზურაბ ხორგუაშვილი მსაჯობით უკმაყოფილო ჩანდა, ფრეს ვიმსახურებდით, მაგრამ მსაჯმა სუფთა გოლი არ ჩაგვითვალაო. ასლან ბალაძე კი გახარებული იყო, მართალია, თამაშის ხარისხი უკეთესი შეიძლებოდა, მაგრამ ამ ეტაპზე მთავარი შედეგიაო.

# მშვიდობას არ გაუმარჯოს?!

თბილისი. 26 ნოემბერი. 15 საათი. შევარდენი. 200 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 2:0 მერცხალი

1:0 გოცირიძე (3), 2:0 დილმელაშვილი (5)

გოცირიძემ ვერ გაიტანა პენალტი (56, მეკარე)

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, ინწკირველი, იმედაშვილი (ლ. მერებაშვილი 61), დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე (კვახაძე 61), გ. გორაშვილი (დათუნაიშვილი 46), დევანოსიძე, ბველესიანი, ადამია, რ. გოცირიძე, მარცვალაძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ზვ. ლაბაძე, ბერელიძე, გ. მერებაშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ბერიძე

**მერცხალი:** გია გოგუა, ჭალიაშვილი, გ. ილურიძე, მჟავანაძე, ჭინჭარაული (ასკურავა 46), სიამაშვილი, გ. წიქნიძე, ზართია, კალანდაძე, ხუჭუა, გაბედავა (ა. განევი 67)
*სათადარიგონი:* როხაძე, ჩიჩუა
**მწვრთნელი:** აკაკი ათუაშვილი

**გაფრთხილება:** გაბედავა (65)

**გაძევება:** მჟავანაძე (55)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში; **დირექტორი:** პ. ბურჯალიანი

ჯარიმა: 21-6; კუთხური: 2-2; კარისკენ დარტყმა: 13-4; კარში დარტყმა: 12-2; თამაშგარე: 6-3

გიორგი ვაშაკიძე

**დაგეგმილი** სამი ქულა „ვიტ ჯორჯიამ" იოლად მიითვალა და ახლა ზურაბ ბერიძის შეგირდები ზეგინდელი მატჩისთვის ემზადებიან. 29 ნოემბერს ბათუმში მე-14 ტურის ის გადადებული მატჩი გაიმართება, 27 ოქტომბერს თავსხმა წვიმის გამო რომ გადაიდო.

გურიაში სუფრას რომ მიუსხდებიან, მოგეხსენებათ, პირველად მშვიდობის სადღეგრძელოს სვამენ. დაიწყო თამაში და ვინ აცალა გურულებს მშვიდობა და სტაბილიზაცია: სტადიონის რადიოინფორმატორი გუნდების შემადგენლობას რომ აცხადებდა, უკვე 2:0 გახლდათ. ჯერ რეზო გოცირიძემ შეაგდო მე-3 წუთზე ახლოდან ჭვინტით, ორ წუთში კი დავით დილმელაშვილმა გაისროლა შორიდან. ინფორმატორიც არ დაიბნა, გამოცხადებულ შემადგენლობებს ორივე გოლის ავტორი მიაყოლა, ამათ ბურთები უკვე გაიტანესო.

ბერიძემ უცნაური, თუმც შემტევი ტაქტიკა 2-5-3 აირჩია და აკი გითხარით, მასპინძლებმა დებიუტშივე საკმაო ფორა შეიქმნეს. მაშინ იყო, რომ გაეიფიქრე, საწყალი „მერცხალი"-მეთქი, მაგრამ...

„ვიტ ჯორჯიას" თავი აღარ მოუკლავს, უხეშ გრუნტზე თამაში ისედაც ჭირდა და ფეხბურთელებიც „ბათუმთან" თამაშის წინ ზედმეტ გართულებებს მოერიდნენ, ალბათ, მეტოქეც დაინდეს.

მომენტები ვიტელებს საკმარისად ჰქონდათ, გოცირიძის გაცუდებული თერთმეტმეტრიანიც რომ არ მივათვალოთ, ჯერ მარტო მანვე, სულ ცოტა, სამი ურეალურესი მომენტი ვერ გამოიყენა, შორეული თუ ახლო დარტყმებისას გოგუას კარი ოთხჯერ ძელმაც იხსნა. გოლების გატანა არ უნდათ, თუ რა ხდებაო, გაიკვირვა ზოგმა ქომაგმა. გოლების გატანა არ გვინდოდაო, არ უთქვამს ზურაბ ბერიძეს, მაგრამ ვიტელთა მწვრთნელმა ნამატჩევს ალალად აღიარა, უკვე მე-5 წუთზე თამაში გავაკეთეთ და თავ-ფეხიც დავზოგეთ, ბიჭები „ბათუმისთვის" ემზადებიანო.

მოკლედ, გუშინდელმა შეხვედრამ მთლიანობაში მშვიდად ჩაიარა, მაგრამ ვიტელთა მეკარე ნამდვილად შეგეცოდებოდათ. სიცივეში აქეთ მაყურებელი გაიყინა, იქით მირზა მერლანი. 90 წუთის მანძილზე ფაქტობრივად უსაქმოდ მყოფი მეკარე თავისებურად ცდილობდა გათბობას: სტუმრებმა რომ ვერ დაასაქმეს, მირზა საკუთარ საჯარიმოში არ გაჩერებულა, აქეთ-იქით მიმოდიოდა.

ვერგატანილ პენალტზეც ვთქვათ. 55-ე წუთი იყო, საჯარიმოში მარჯვნიდან შევარდნილმა ადამიამ მეურვე რომ ჩამოიცილა და უკვე ჩაწოლილ გოგუას შორეულ კუთხეში დაურტყა. დაუცველ კარში მდგარმა მერაბ მჟავანაძემაც ბურთი ნახტომში ხელით გააჩერა და მეშკოვის წითელ ბარათს არც დალოდებია, ისე დურთა თავი გასახდელისკენ. მჟავანაძის უკანონო ნამოქმედარი გოგუამ კანონიერად გაიმეორა, გოცირიძეს თერთმეტი მეტრის ნიშნულიდან ძლიერად დარტყმული ბურთი ჩინებულ ნახტომში აუღო და ჩემპიონატის ერთ-ერთ ბომბარდირს დუბლი არ გააზერხებინა.

შეხვედრის მერე ოზურგეთელთა მწვრთნელმა აკაკი ათუაშვილმა გვითხრა, სათქმელი არაფერი მაქვს, შედეგი კანონზომიერია, უბრალოდ, მეორე ეტაპიდან ვეცდებით, თავი გადავირჩინოთო.

ბოლოს ერთიც. ვიტელებს ტრავმირებული თენგიზ კობიაშვილი აკლდათ. „კობიმ" კოჭი ქუთაისში „ტორპედოსთან" მატჩისას მოიტეხა და ხვალ ოპერაციას გაიკეთებს.



გიორგი ადამიას (№7) ამ დარტყმას მერაბ მჟავანაძე შეეწირა




გია გოგუა მესამე წუთზევე გაუტანეს

მურაზ ლორთქიფანიძის ფოტოები

ქუთაისი. 26 ნოემბერი. 15 საათი. ტორპედო. 3 000 (ტევადობა 19 600)

## ტორპედო 2:1 სიონი

1:0 პოროშინი (65), 1:1 გონჩაროვი (89), 2:1 ბაბუნაშვილი (90პ)

**ტორპედო:** სტურუა, ხვადაგიანი, მახვილაძე, ს. თოდუა, გამეზარდაშვილი, გ. ჩხეტიანი (ზ. ქუთათელაძე 46), ნერგაძე, ლალაძე, ბაბუნაშვილი, პოროშინი, ბურჯანაძე (ნ. ნადირაძე 58)
*სათადარიგონი:* გ. სომხიშვილი; ლ. ქელიძე, დარსაძე, გოგოლაძე, მუშკუდიანი
**მწვრთნელი:** ქოაო კამპუში

**სიონი:** ვოლკოვი, ჭიჭვეიშვილი, ბაქრაძე, ხუჯაძე, კვეკვესკირი (დარსანია 52), გაბიდაური, გილაური, გაბისკირია, კოშკაძე, გ. შენგელია, გონჩაროვი
*სათადარიგონი:* ა. ლაბაძე; ისიანი, ფანჩულიძე
**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); გ. ასკაროღლი (ქარელი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** ვ. ქორიძე

ჯარიმა: 8-12; კუთხური: 5-3; კარისკენ დარტყმა: 11-3; კარში დარტყმა: 7-2; თამაშგარე: 10-3

# ტორპედო ზემოთ იჯდა

კახა შალამბერიძე ქუთაისიდან

**ქუთაისის „ტორპედომ"** თავისი შანსის მესამედი შეასრულა. მოგეხსენებათ, ექვსეულში მოსახვედრად რიონისპირელებს დარჩენილ სამ მატჩში უეჭველი 9 ქულა სჭირდებოდათ. 3 უკვე არის — ქოაო კამპუშის ბიჭებმა გუშინ ბოლნისის „სიონი" დაამარცხეს.

თამაში დიდი ვერაფერიშვილი სანახავი გამოდგა. დაძაბულობა თითქოს კი იგრძნობოდა, მაგრამ წუნი იმდენი იყო...

ოთარ გაბელიას გუნდში ოთხი ყოფილი ტორპედოელი თამაშობდა — შალვა ხუჯაძე, იური გაბისკირია, გიორგი შენგელია და ბორის გონჩაროვი. ჰოდა, მატჩის დაწყებამდე მოთელვაზე გასულ შენგელია-გონჩაროვს ქომაგის მოკითხვა და „დარიგება" არ მოჰკლებიათ: იცოდეთ, გოლი არ გაგვიტანოთ და არ გვაწყენინოთო. მათი სურვილი გონჩაროვმა ვერ შეასრულა, თუმც ამაზე ცოტა ქვემოთ. ახლა კი ყოფილი ტორპედოელების თემას გავაგრძელებთ. ასეთები ტრიბუნებზეც ვიპოვეთ — ალექსანდრე შეყრილაძე (თამაში მიატოვა), დავით ჯანაშია („ატირაუ", ყაზახეთი), გრიგოლ ჭანტურია და ზურაბ იონანიძე („ტავრია", უკრაინა) მშობლიური გუნდის თამაშის სანახავად მოსულიყვნენ. ყველაზე დიდი ინტერესი, ცხადია, „ტორპედოს" ძველმა კაპიტანმა და ლიდერმა „იონამ" გამოიწვია...

„ტორპედოს" ერთადერთი გზა ჰქონდა — მხოლოდ მოგებით შეეძლო ექვსეულში მოსახვედრი შანსის შენარჩუნება. შეხვედრაც მასპინძელთა აქტიურობით დაიწყო, მაგრამ ისინი ხშირად ცდებოდნენ და სახიფათო მომენტების შექმნაც ამიტომ უჭირდათ.

ასე თუ ისე, „ტორპედოს" საგოლე შეტევები მაინც გამოუვიდა. ორჯერ ანდრი პოროშინს გაუცუდდა დარტყმა, ერთხელ კი დავით გამეზარდაშვილმა დაჰკრა უხეიროდ თავური. ამას ბოლნისელთა მეკარის შეცდომა მოჰყვა, მაგრამ იმ დღეს მოედანზე საუკეთესო შოთა ბაბუნაშვილმა მისი დასჯა ვერ შეძლო.

„სიონი" წინ გახედვას არც აპირებდა. საერთო აზრით, სტუმრები ფრეზეც ყაბულს იყვნენ და საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უფრო ზრუნავდნენ. თუმც ერთხელ სამი ტორპედოელი კი შეატოვეს ვოლკოვს პირისპირ — მასპინძელთა სამწუხაროდ, დებიუტანტმა გიორგი ბურჯანაძემ პოროშინ-ბაბუნაშვილის გვერდით ყოფნა ვერ გამოიყენა და ბურთი მეკარეს ჩააბარა.

პირველი ტაიმის სახიფათო მომენტები ამით ამოიწურა. შესვენების შემდეგ კი „ტორპედო" სრულ უპირატესობას დაეუფლა, თუმც ერთხელ „სიონიც" ძალუმად დაიმუქრა: შენგელიას პასის მერე გონჩაროვმა ბურთს ძლიერად და ოდნავ არაზუსტად ამოსცხო.

65-ე წუთზე „ტორპედომ" ნავსი გატეხა — ლალაძემ კარგი პასი გაუჭრა პოროშინს და უკრაინელსაც გოლის გატანა არ გასჭირვებია — 1:0.

თამაში დაწყნარდა. მეტოქეებმა თითო სახიფათო მომენტიც გაცვალეს: ჯერ გაბისკირიამ დაარტყა სტურუას კარისკენ უზუსტოდ, მერე მახვილაძემ ვერ ისარგებლა პირისპირ გასვლით. ეს იყო და, თითქოს მატჩს წერტილიც უნდა დასმოდა — ცქნაფა ბიჭმა ნადირაძემ იდეალური პასით ვოლკოვს ბაბუნაშვილი შეატოვა, მაგრამ შოთას დარტყმა გაუცუდდა.

ბოლო ორი წუთი კი ყველაზე ემოციური გამოდგა. 89-ეზე გონჩაროვმა შეისეირნა საჯარიმოში, ხელისშემშლელი „ვერსად ნახა" და ლამის პირითი ხაზიდან გაუტანა „ტორპედოს". ბევრმა ვერც გაიგო, გოლი როგორ გავიდა. მასპინძლებმა ბურთი ცენტრში გაათამაშეს და... ათივე ტორპედოელი „სიონის" საჯარიმოს ეკვეთა. არეულობაში ჭიჭვეიშვილს ბურთი ხელზე მოხვდა. პენალტიო, იღრიალეს ტრიბუნებმა, თუმც არა — სიონელის ხელიდან ასხლეტილი ბურთი ქუთათელაძემ გაიგდო და მცველის ფეხსაც წამოეგო. აი, ეს კი არის პენალტიო, ბრძანა მსაჯმა და... ბოლნისელებიც მისკენ დაიძრნენ. ალყაში მოქცეულმა ფანიაშვილმა, ცხადია, სიტყვა არ გადათქვა. ფეხბურთელებიც დაშოშმინდნენ, მაგრამ ახლა ოთარ გაბელიასა და სათადრიგო გელა ფანჩულიძის დაწყნარება გახდა უსაშველო.

ბოლო ყველაფერს აქვს: შოთა ბაბუნაშვილმა პენალტი ზუსტად დაარტყა — 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 20 | 14 | 4 | 2 | 44:8 | 46 |
| სიონი | 20 | 10 | 7 | 3 | 28:16 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 19 | 10 | 5 | 4 | 32:13 | 35 |
| დილა | 20 | 10 | 3 | 7 | 28:19 | 33 |
| თბილისი | 20 | 9 | 4 | 7 | 39:25 | 31 |
| ლოკომოტივი | 20 | 9 | 4 | 7 | 30:22 | 31 |
| ბათუმი | 19 | 9 | 2 | 8 | 23:19 | 29 |
| ტორპედო | 20 | 8 | 4 | 8 | 21:23 | 28 |
| კოლხეთი | 20 | 6 | 3 | 11 | 15:30 | 21 |
| მცხეთა | 20 | 6 | 2 | 12 | 22:47 | 20 |
| სპარტაკი | 20 | 3 | 4 | 13 | 11:45 | 13 |
| მერცხალი | 20 | 2 | 4 | 14 | 17:41 | 10 |

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. V ტური

A ჯგუფი

## ონილს ცხრილმა ლარსონი უკარნახა

**სილტიკი 0:0 ბაიერნი**

**სილტიკი:** ჰედმანი, მაკნამარა, ვარგა, ბალდე, აგატი (მილერი 62), ლენონი, პეტროვი, ა. ტომპსონი, ლარსონი, პართსონი (სილა 86), სატონი
**მწვრთნელი:** მარტინ ონილი
**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, კუფური, რობერტ კოვაჩი, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, იერემისი, ბალაკი, სალიჰამიჯიჩი, მაკაი, სანტა კრუზი (პიზარო 72)
**მწვრთნელი:** ოტმარ ჰიცფელდი
**გაფრთხილება:** სანიოლი, კუფური, ლიზარაზუ, ტომპსონი
**მსაჯი:** რენე ტემინკი (ჰოლანდია)
**59 000 მაყურებელი**

სამშაბათ საღამოს „სელტიკის" მენეჯერმა მარტინ ონილმა ცხრილს ჩახედა და თქვა: „ბოლო ტურში, ლიონში, დიდი ბრძოლა გველის. მერვედფინალში გასასვლელად ფრეც ხელს გვაძლევს, მაგრამ ჩვენ ფრისთვის არ ვითამაშებთ. როცა მოედანზე გადიხარ, მოგების გარდა სხვა მიზანი არ უნდა გქონდეს. იმედი მაქვს, ჰენრიკ ლარსონი ისევე ითამაშებს, როგორც დღეს."

ლარსონი მართლაც ბრწყინვალე იყო და რამდენიმე ისეთი მომენტი ჰქონდა, როცა გოლი თითქოს გარდაუვალი იყო. ლიონში კი მას უსიამოვნო მოგონებების გახსენება მოუწევს — ოთხი წლის წინ ამ ქალაქში უეფას თასზე სათამაშოდ ჩასულს ფეხი მოტეხეს.

ლარსონის კარგი თამაში იმისთვისაც არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ლიონში „სელტიკს" დისკვალიფიცირებული ალან ტომპსონი და ტრავმირებული დიდიე აგატი არ ეყოლება.

ისევ ონილი: „მატჩი რომ დამთავრდა, გერმანელები ისე ზეიმობდნენ, თითქოს ჩემპიონთა თასი მოეგოთ. ეს ნიშნავს, რომ ისინი იმითაც კმაყოფილები დარჩნენ, რომ არ წააგეს. არადა, ჩვენ მართლაც მეტი საგოლე მომენტი შევქმენით. ისე, საზეიმოდ უფრო ჩვენ გვაქვს საქმე, ბოლოს და ბოლოს, „ბაიერნი" ხომ ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია და როცა მას თამაშით სჯობნი, უმნიშვნელო ამბავი არაა."

დავძინოთ, რომ „სელტიკი" აგერ უკვე 27 თვეა, შინ არ დამარცხებულა.

**ანდერლეხტი 1:0 ლიონი**

**1:0** ტიჰინენი (70)
**ანდერლეხტი:** ზიტკა, ძევლაკოვი (ჰენდრიქსი 67), ტიჰინენი, კომპანი, დეშახტი, ვილჰელმსონი, ჰასი, ბასეჯიო, კოლარი (იაშჩუკი 88), ზეტერბერგი (ვანდერეგე 86), მორნარი
**მწვრთნელი:** უგო ბროოსი
**ლიონი:** პიუდებუა, რევეილიერი, მიულერი, ედმილსონი, ბერტოდი (კასაპა 80), ჟუნინიო, დიარა (კარიერი 73), მალუდა, ლუინდულა, ელბერი, გოვუ
**მწვრთნელი:** პოლ ლე გუენი
**მსაჯი:** დომენიკო მესინა (იტალია)
**24 000 მაყურებელი**

ფინეთის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა ჰანი ტიჰინენმა ერთადერთი გოლი გაიტანა ამ უალრესად დაძაბულ მატჩში და „ანდერლეხტს" მერვედფინალში გასვლის არცთუ ურიგო შანსი შეუნარჩუნა.

არადა, „ლიონს" რომ მოეგო, ჯგუფიდან გასვლას გაინაღდებდა და, ცხადია, მცდელობაც არ დაუკლია, მაგრამ მიძალებულმა ტრავმიანობამ თავისი გაიტანა. პოლ ლე გუენს აკლდა მთავარი მეკარე გრეგორი კუპე და ვიკაშ დორასო.

თუმცა სრული საბრძოლო შემადგენლობა არც მასპინძლებს ჰყავდათ. უპირველესი ფორვარდი არუნა დინდანე დისკვალიფიცირებული იყო და მწვრთნელმა უგო ბროოსმაც უცნაური გადაწყვეტილება მიიღო — ივიცა მორნარს შეტევაში ნომინალური ნახევარმცველი კრისტიან ვილჰელმსონი შეუწყვილა, მათი დახმარება კი ვეტერან შვედ პერ ზეტერბერგს დაავალა, რომელიც მგონი, თავად ვერ იხსენებს, როდის ითამაშა ბოლოს.

თამაში ისე დაიწყო, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა. პირველივე წამებზე ვილჰელმსონმა ფრანგთა მეკარე ნიკოლა პიუდებუას რეაქცია შეამოწმა და თითქმის მაშინვე ფლორან მალუდამ საპასუხო სახიფათო იერიში განახორციელა.

თამაში როგორც დაიწყო, ისევე გაგრძელდა, ანუ ორივე გუნდი ერთი მეორეს მიყოლებით ქმნიდა სახიფათო მომენტებს. ცხადია, ამან მაყურებელი აზარტში შეიყვანა, მაგრამ რაც უფრო მნიშვნელოვანია, თავად ფეხბურთელებიც ისეთ აზარტში მოვიდნენ, სიფრთხილე დაივიწყეს და გაშმაგებულები უტევდნენ ერთმანეთის კარს.


სელტიკი — ბაიერნი. ოლივერ კანი და ჰენრიკ ლარსონი უგოლოდ გაიყარნენ

თამაში კიდევ უფრო გამწვავდა, როცა პეგი ლუინდულამ ბურთი ძელს გაარტყა, ხოლო მორნარი საკუთარ თვალებს ვერ უჯერებდა, როცა დაინახა, თუ მისი ბრწყინვალე პასით უაღრესად ხელსაყრელ პოზიციაზე გასულმა ტიჰინენმა რაგორ მოახერხა აცილება.

რაც აქამდე მოვყევით, პირველი ტაიმის ამბები გახლდათ. შესვენების მერე თამაში მასპინძელთა იერიშებით დაიწყო და ხუთიოდ წუთში ლიონელთა ცენტრალურმა მცველმა დიდი გაჭირვებით მოიგერია მორნარის მიერ კარის ხაზზე ჩაწოდებული ბურთი, რომელიც ვილჰელმსონს უნდა მისვლოდა. კიდევ ცოტაც და ანდერლეხტელი თავდამსხმელები კვლავ მოვლენათა ეპიცენტრში აღმოჩნდნენ, მაგრამ ამჯერად მეკარე პიუდებუამ ივაჟკაცა.

დრო გადიოდა და მასპინძელთა იერიშებს შედეგი არ მოჰქონდა. ცუდის მოლოდინში გულშემატკივარი ცოტა არ იყოს დაიზაფრა კიდეც. და სწორედ ამ დროს „ანდერლეხტმა" გაიტანა. ტიჰინენი მორნარის გრძელ ჩაწოდებულს თავით დაუხვდა და პიუდებუა სახტად დატოვა.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 7 |
| ანდერლეხტი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| ბაიერნი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |

**ბოლო ტური, 10 დეკემბერი**
**ლიონი — სილტიკი**
**ბაიერნი — ანდერლეხტი**

B ჯგუფი

## ძაკერონიმ სირცხვილი ანრის შეახოცა
### ძმის გულმა ძმის გოლი გამოიცნო



ინტერი — არსენალი. ტიერი ანრიმ ფრანჩესკო ტოლდოს ორჯერ გაუტანა

**ინტერი 1:5 არსენალი**

**0:1** ანრი (25), **1:1** ვიერი (33), **1:2** ლიუნგბერგი (49), **1:3** ანრი (85), **1:4** ედუ (87), **1:5** პირესი (89)
**ინტერი:** ტოლდო, ო. კორდობა, მატერაცი, კანავარო (პასკუალე 59), ხ. ძანეტი, ლამუში (ალმეიდა 57), კ. ძანეტი, ბრეში, ვან დერ მეიდე (კრუზი 69), ვიერი, ო. მარტინსი
**მწვრთნელი:** ალბერტო ძაკერონი
**არსენალი:** ლემანი, ტური, კემპბელი, სიგანი, ე. კოული, ლიუნგბერგი, პარლოუ, ედუ, პირესი, ანრი (ალიადიერი 89), კანუ (ჟილბერტო სილვა 73)
**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი
**გაფრთხილება:** სიგანი, ედუ
**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
**44 884 მაყურებელი**

„ინტერი" მილანში ისეთივე უსუსური იყო, როგორც „არსენალი" ლონდონურ მატჩში, რომელიც სექტემბერში „ჰაიბერიზე" გაიმართა და „შავ-ლურჯების" გამარჯვებით დასრულდა.

მას შემდეგ „ინტერში" მწვრთნელი გამოცვალეს. ალბერტო ძაკერონიმ სერია A-ში გუნდის თამაშს ხელი აშკარად დაატყო, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ექტორ რაულ კუპერის მონაგარს ერთი ფრე („ლოკომოტივთან"), ახლა კი სამარცხვინო მარცხი მიუმატა.

ამ მარცხში მცირეოდენი წილი „რეჯინასაც" მიუძღვის. გასულ უქმეებზე „შავ-ლურჯებმა" რეჯინელები 6:0 გაანადგურეს და ამიტომ „არსენალთან" მატჩის წინ ზედმეტად თავდაჯერებულნი ჩანდნენ.

„ჩვენ იმიტომ წავაგეთ, რომ ტიერი ანრი არ გვყავს. მისი დონის ფეხბურთელისთვის ერთი კვადრატული სანტიმეტრი თავისუფალი სივრცის დატოვებაც კი არ შეიძლება. ჩემი მცველები ფრანგმა ყველაფერში დაჩაგრა და, შესაბამისად, მეტოქემ კიდეც გვაჯობა. მიუხედავად ამისა, მერვედფინალში გასასვლელად შანსი გვაქვს. საამისოდ კიევში „დინამოს" დამარცხება მოგვიწევს, რაც სავსებით შესაძლებელია" — თქვა ალბერტო ძაკერონიმ.

ტიერი ანრიმ მთავარმეთოფეობა იკისრა. ორი თავად გაიტანა, ორში კი წილი დაიდო. მისმა შემცვლელმა ჯერემი ალიადიერმა კი მეხუთე საგოლე კომბინაცია დაიწყო, რომელიც პირესმა დაასრულა.

მატჩის პირველი ტაიმი საყურებლად დიდი ვერაფერი გამოდგა. „ინტერს" ფრეც ხელს აძლევდა და შეტევებისთვის თავი მაინცდამაინც არ შეუწუხებია. მასპინძლები მხოლოდ ტიერი ანრის პირველი გოლის შემდეგ გამოცოცხლდნენ. კრისტიან ვიერის დარტყმული ბურთი სოლ კემპბელს შეეხო და იენს ლემანის ზურგსუკან ჩაეშვა.

შესვენების შემდეგ ანრიმ ლიუნგბერგს გაუჩარხა საგოლე პასი და შვედმაც ახლო მანძილიდან ზუსტად დაჰკრა.

ამ მომენტიდან ინტერელები შეფუცხუნდნენ და დაახლოებით ნახევარი საათის მანძილზე ამაოდ ცდილობდნენ „არსენალის" დაცვის გარღვევას. შეხვედრის მიწურულს „შავ-ლურჯთა" განკითხვის დრო დადგა. „მეთოფეებმა" ოთხ წუთში „სან სირო" დაადუმეს. ანრიმ, ედუმ და პირესმა ლონდონური მარცხისთვის ჯავრი იყარეს, „ინტერის" ქომაგებს კი გუნდის სალანძღავი მიზეზი დაუტოვეს.

**ლოკომოტივი 3:2 დინამო**

**1:0** ბუზნიკინი (28), **1:1** ბელკევიჩი (37), **2:1** იგნაშევიჩი (45პ), **2:2** შაცკიხი (64), **3:2** პარკსი (89)
**ლოკომოტივი:** ოვჩინიკოვი, ევსეევი, იგნაშევიჩი, პაშინინი, სენიკოვი, ლეკხეტო, მამინოვი, ლოსკოვი, ხოხლოვი, ბშვეთიძა, ბუზნიკინი (პარკსი 83; ნიჟეგოროდოვი 90)
*მასხაზ ასათიანი სათადარიგო იყო*
**მწვრთნელი:** იური სიომინი
**დინამო:** შოვკოვსკი, დმიტრულინი, ნესმაჩნი, გავრანჩიჩი, საბლიჩი, ბელკევიჩი, გიოანე (ხაცკევიჩი 56), გუსევი, ონოპკო (პეევი 65), შაცკიხი, რინკონი
**მწვრთნელი:** ალექსეი მიხაილიჩენკო
**გაფრთხილება:** ლეკხეტო, საბლიჩი, დმიტრულინი
**მსაჯი:** არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)
**25 000 მაყურებელი**

იბანიესი ის მსაჯია, შვეიცარია-რუსეთის მატჩში სტუმართა სასარგებლოდ საეჭვო პენალტი რომ დანიშნა, უთხრა უკრაინელმა ჟურნალისტმა ნამატჩევს ალექსეი მიხაილიჩენკოს. „ახლა ყველაფერი გასაგებია" — მიუგო „დინამოს" მწვრთნელმა, რომელმაც თამაშის შემდეგ არაობიექტურ მსაჯობაზე დაიწუწუნა. მიხაილიჩენკოს აზრით, პირველი ტაიმის მიწურულს არტურო იბანიესს ბუზნიკინის წაქცევისთვის თერთმეტმეტრიანი არ უნდა დაენიშნა, შეხვედრის ბოლოს კი, პარკსის გოლამდე, „ლოკომოტივის" ფეხბურთელმა შოვკოვსკის აშკარად უბიძგა და მეკარეს ბურთი ხელებიდან ამიტომ გაუვარდა.

„ჩემს კარში გატანილი მესამე გოლის შემდეგ ისე ვინერვიულე, რომ ინფარქტისწინა მდგომარეობაში ჩავვარდი, ერთ-ერთი ლოკომოტიველი გაავებული დამეტაკა და წავიქეცი" — დაიჩივლა ალექსანდრ შოვკოვსკიმ.

მოსკოვური მატჩი გოლუხვი გამოდგა, რადგან ორივე გუნდს გამარჯვება სჭირდებოდა და შეტევებზე უფრო ფიქრობდნენ. „ლოკომოტივის" კაპიტნის სამკლავური სერგეი ოვჩინიკოვს ერგო, რადგან ლოსკოვმა ვარჯიშზე დაიგვიანა და სიომინმა ამგვარად დასაჯა. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ლოსკოვმა ჩვეულად მაღალ დონეზე ვერ ითამაშა, თუმცა მწვრთნელი მისით უკმაყოფილო მაინც არ დარჩენილა.

ორმხრივ იერიშებში გართულმა მეტოქეებმა არაერთი საგოლე მომენტი შექმნეს ერთმანეთის კართან და პირველად მასპინძლებმა იხეირეს. ხოხლოვმა წამში შეაფასა ვითარება და ბუზნიკინი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. ახალგაზრდა ფორვარდმა მოჭრილი დარტყმით ბურთი შოვკოვსკისგან მარცხენა დაბალ კუთხეში შეასრიალა.

სტუმრებს გასათანაბრებლად ათი წუთი დასჭირდათ. ეიფორიაში მყოფმა ლოკომოტიველებმა გუსევი და ბელკევიჩი უყურადღებოდ მიატოვეს. გუსევმა ბურთი თავით დაუგდო „დინამოს" კაპიტანს და ბელკევიჩს ახლო მანძილიდან გატანა არ გასჭირვებია.

ტაიმის ბოლოს მოხდა ის სადაეო ეპიზოდი, რომელმაც მიხაილიჩენკო გაანაწყენა. უკრაინელთა მტკიცებით, საჯარიმოში შესული ბუზნიკი დმიტრულინს არ წაუქცევია და მასპინძელმა წაიმსახიობა. არტურო იბანიესმა თერთმეტმეტრიანის ნიშნულზე მიუთითა და იგნაშევიჩმა პენალტი გაიტანა.

შესვენების შემდეგ რკინიგზელები კვლავ უტევდნენ, მაგრამ კონტრშეტევა გაეპარათ და „დინამომ" ისევ გაქვითა. ხაცკევიჩმა მარჯვენა ფლანგზე დმიტრულინს პასი გაუჭრა, რომელმაც ბურთი კარის წინ ხაცკევიჩს მიაწოდა და ეულად მიტოვებულმა ფორვარდმა ოვჩინიკოვს აჯობა.

კოსტარიკელი უინსტონ პარკსისთვის მატჩამდე ძმას, ჯუნის უთქვამს, ნეტავ გამარჯვების გოლი შენ გაიტანოო. ძმამ გამოიცნო. მოედანზე ხუთიოდ წუთის შესულმა პარკსმა მასპინძელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა, შოვკოვსკის ბურთი ხელიდან გაუვარდა და კოსტარიკელმა დაუცველ კარში ახლოდან შეაგდო.

**მაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| არსენალი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| ინტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:10 | 7 |
| დინამო | 5 | 2 | 0 | 3 | 7:7 | 6 |

**ბოლო ტური, 10 დეკემბერი**
**დინამო — ინტერი**
**არსენალი — ლოკომოტივი**

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. V ტური

C ჯგუფი

## თავგადებები თავში მორიენტესის თავით

**მონაკო 1:1 პსვ ეინდჰოვენი**

1:0 მორიენტესი (34), 1:1 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (85)
**მონაკო:** რომა, გივე, ევრა (იბარა 75), სკილაჩი, როდრიგესი, ბერნარდი, ზიკოსი, როტენი, ჟიული, მორიენტესი (ადებაიორი 80), პრსო (ე. სისე 59)
**მწვრთნელი:** დიდიე დეშანი
**პსვ ეინდჰოვენი:** ვატერეუსი, ფაბერი, ბუმა, ბოგელუნდი (კოლინი 74), ლუსიუსი, ი. ლი (ჯ. დე იონგი 77), პარკი, ფოგელი, ვონლანტენი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 64), კეჟმანი, რობენი
**მწვრთნელი:** გუს ჰიდინკი
**გაფრთხილება:** რობენი, ლუსიუსი, ბოგელუნდი, ზიკოსი, ლუსიუსი, ზიკოსი, კეჟმანი
**გაძევება:** ლუსიუსი (50), ზიკოსი (84), ჟიული (88)
**მსაჯი:** ჟელკო შირიჩი (ხორვატია)
18 000 მაყურებელი

**დეპორტივო 3:0 აეკ**

1:0 ექტორი (22), 2:0 ვალერონი (51), 3:0 ლუკე (70)
**დეპორტივო:** მოლინა, ექტორი, სესარი (რომერო 72), ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, ვიქტორი (სკალონი 68), დუშერი, სერხიო, ვალერონი (ლუკე 59), ფრანი, პანდიანი
**მწვრთნელი:** ხავიერ ირურეტა
**აეკ:** მიხაილიდისი, კაპსისი, ბორბოკისი, კასაპისი (კოსტენოღლუ 43), ლაკისი (პეტკოვი 73), ამპონსაჰი, კაცურანისი, ზაგორაკისი, ცარტასი, ნალიცისი, ოკასი (ს. კონსტანტინიდისი 76)
**მწვრთნელი:** დუშან ბაევიჩი
**გაფრთხილება:** კასაპისი, ოკასი, კოსტენოღლუ, ამპონსაჰი
**მსაჯი:** მაიკ რაილი (ინგლისი)
17 000 მაყურებელი



ფერნანდო მორიენტესი

საჩემპიონთალიგო მერვედფინალში C ჯგუფიდან გასული ერთი გუნდი უკვე ცნობილია — ექსრეალელი ფერნანდო მორიენტესი „მონაკოს“ მორიგი შესანიშნავი გოლით შეეწია და ფრანგული კლუბიც გათამაშების შემდგომ ეტაპზე დააწინაურა. კასტილიიდან რიგი საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო მიზეზების გამო საფრანგეთს გადახვეწილი „ელ მორო“ გალთა ციცქნა სამთავროში ბედნიერ ფეხზეა ჩასული. ფერნანდო იქაურთა ჩემპიონატში თუ ევროპულ სარბიელზე ერთნაირი სიჩაუქით ბურთაობს, რითაც უმოკლეს დროში „ლუი II“-ს ქომაგთა გულწრფელი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

გუს ჰიდინკის პსვ-სთან სამშაბათის შერკინება მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. ჰოლანდიელთა დაწიოკებაში განსაკუთრებით მორიენტეს-ჟიულის წყვილი აქტიურობდა. უნდა ითქვას, რომ ეს ორი გამოცდილი ფეხბურთელი არამცთუ „ეინდჰოვენის“, არამედ ბევრად უფრო ტიტულიანი კლუბებისთვისაც დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ჰოლანდიელები კი დამხვდურთა შემოსევებს გეგმაზომიერი დაცვითა და იშვიათი კონტრშეტევებით პასუხობდნენ. თუმცა, მიუხედავად მათი ფრიადი მცდელობისა, პირველ ტაიმში ვატერეუსის კარის მშრალად შენახვა ვერ მოხერხდა. 34-ე წუთზე როდრიგესის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ „ელ მორომ“ უკვე ნახსენები დიდებული გოლი შეაგდო და მეტოქეებიც შესვენებაზე ერთგოლიანი განსხვავებით გაიყარნენ.

მეორე ნახევარში სიტუაცია შეიცვალა — ჰიდინკის მოწაფეები შესამჩნევად გამოფხიზლდნენ და ახლა საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა რომასა და კომპანიას უფრო უხდებოდათ. დაძაბული თამაში ხორვატმა არბიტრმაც თავისებურად „გაალამაზა“. მან ჯერ ეინდჰოვენელთა ლუსიუსი გააძევა, ხოლო მატჩის მიწურულს ფრანგებს, ზიკოსის და ჟიულის უბრძანა იძულებითი შესვენება. პსვ-მ კი კაცნაკლული ომი მაინც არ წააგო. 83-ე წუთზე ჰესელინკმა გალების საჯარიმოში მყოფი არეულობა საჭირო გოლად აქცია. საბოლოოდ 1:1, „მონაკო“ მერვედფინალშია, ხოლო ჰოლანდიელები თავიანთ ბედს 10 დეკემბერს ესპანურ „დეპორტივოსთან“ ჭიდილში გადაწყვეტენ.

ხავიერ ირურეტას გალისიური ფლაგმანი შინ „რიასორზე“ ამ ჯგუფის აუტსაიდერ ათენურ აეკ-ს დაუხვდა. ლაკორუნიელებმა ლიგის წინა ტურში „მონაკოსთან“ განცდილი ჯოჯოხეთი (3:8) ნაწილობრივ მაინც აინაზღაურეს. ექტორმა პირველ 45 წუთში, ვალერონმა და ალბერტ ლუკემ კი ტაიმთშორისის შემდეგ მშობლიურ არენაზე შეკრებილი 25 ათასი ინჩასი 3 უპასუხო გოლით გაახარეს. „რიასორის“ ჯახში ძირითადად „დეპორი“ ბატონობდა, თუმცა მცირე რამ ბრჭყალი ელინთა ცარტასმაც გამოაჩინა, რომელმაც პირველ ტაიმში ძლიერი გასროლით მოლინას კარის ძელი შეარყია.

სამგოლიანი ფიესტის შემდეგ გალისიური ინჩადა უკვე მტკიცედ იყო ჯგუფიდან გასვლაში დარწმუნებული, მაგრამ მეზობელ საფრანგეთში ნიდერლანდელი ჰესელინკის ხსენებულმა გოლმა ყველაფერი სამომავლოდ გადადო. „დეპორტივო“ მომდევნო ტურში „ფილიპსის“ სტადიონზე ორბურთიანი და მეტი სხვაობით არ უნდა დამარცხდეს, სხვა შემთხვევაში ნალოლიავებ მერვედფინალს „პსვ ეინდჰოვენი“ გამოემშვიდობება.



„მონაკოს“ კაპიტან ლუდოვიკ ჟიულის (№8) მატჩის დასრულება არ დასცალდა

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 5 | 3 | 1 | 1 | 15:6 | 10 |
| დეპორტივო | 5 | 3 | 1 | 1 | 10:9 | 10 |
| პსვ ეინდჰოვენი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| აეკ | 5 | 0 | 1 | 4 | 1:11 | 1 |

*„მონაკო“ გავიდა მერვედფინალში*

**ბოლო ტური, 10 დეკემბერი**

აეკ — მონაკო
პსვ ეინდჰოვენი — დეპორტივო

D ჯგუფი

## პროტასოვს ღიმილი წაართვეს

### ყველა გალათასარაის წინააღმდეგ

**ოლიმპიაკოსი 2:2 სოსიედადი**

0:1 გაბილონდო (31), 1:1 სტოლტიდისი (59), 2:1 კასტილიო (69), 2:2 შურერი (73)
**ოლიმპიაკოსი:** კატერინაკისი, ვენეტიდისი (ტაცისი 85), გეორგიადისი, ანცასი, ანატოლაკისი, კარემბუ, სტოლტიდისი, პანტოსი, მავროგენიდისი (ნინიადისი 57), ჯოვანი, კასტილიო
**მწვრთნელი:** ოლეგ პროტასოვი
**სოსიედადი:** ვესტერფელდი, არანსაბალი, ხაურეგი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, გაბილონდო, კარპინი (არანბურუ 82), ალკისა, კოვაჩევიჩი, ნიჰათი (ჩ. ლი 76)
**მწვრთნელი:** რეინალდ დენიო
**გაფრთხილება:** კოვაჩევიჩი, ანატოლაკისი, ვენეტიდისი, შურერი, ლოპეს რეკარტე, პანტოსი, კოვაჩევიჩი, ნინიადისი
**გაძევება:** კოვაჩევიჩი (66)
**მსაჯი:** ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
14 500 მაყურებელი

„ოლიმპიაკოსს“ ღიმილისა და ზეიმის გუნება წაუხდა — „რეალ სოსეიდადს“ 2:1-ს უგებდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. რომ შეენარჩუნებინა, შემდგომ ეტაპზე მოხვედრის შანსი კვლავაც ექნებოდა.

„დღეს კიდევ ერთხელ ვიმსახურებდით მეტს და ვერ მივიღეთ — განაცხადა მატჩის შემდეგ ბერძენთა მწვრთნელმა ოლეგ პროტასოვმა — მეტი სიფრთხილე უნდა გამოგვეჩინა. გოლი შეხვედრის ყველაზე კრიტიკულ, კულმინაციურ მომენტში გავუშვით. მეორე ტაიმში პირველზე უკეთ ვითამაშეთ, უპირატესობა მოვიპოვეთ, დავწინაურდით, ოღონდ თამაშის მოკლის მაგივრად მორიგი გოლი მივიღეთ“.



ზეზერი კრისტიან კარემბუს (მარჯვნივ) გარჯა „სოსიედადის“ დასამარცხებლად საკმარისი არ გამოდგა

აქ, აუცილებლად აღსანიშნავია „რეალ სოსეიდადის“ გაწაფული კონტრშეტევები. სწორედ დაწყობილი კონტრშეტევების წყალობით იყო ბერძნებმა პირველი გოლი რომ გაუშვეს — იგორ გაბილონდო მასპინძელ მცველებს ზურგსუკან მოექცა და შედეგიანად დაარტყა. ამის შემდეგ მასპინძლებმა აიყვანეს თავი ხელში (მოგეხსენებათ, ბერძენი ქომაგებიც განსაკუთრებული ხმაურით უწყობენ თავიანთ ფეხბურთელებს ხელს) და ორი გოლი გაიტანეს. გათანაბრებით იეროკლის სტოლტიდისმა გაათანაბრა, დაწინაურებით კი პროტასოვის შეგირდები ნერი ალბერტო კასტილიომ დააწინაურა, მაგრამ ამ გოლიდან სამ წუთში გაბრიელ შურერმა გამოიჩინა თავი, ანგარიში ბრწყინვალე დარტყმით გაქვითა. აღსანიშნავია ისიც, რომ მოედნიდან დარკო კოვაჩევიჩი გააძევეს.

პროტასოვი: „თავიდან კარგად დავიწყეთ, შემდეგ კი რიტმი დაგვეკარგა და გრძელ პასებზე გადავედით, რაც არ გვაძლევდა ხელს. ვიცოდით, რომ „სოსეიდადი“ დაცვაში მჭიდროდ დაგვიდგებოდა. გარდა ამისა, ჩვენს გუნდს ძალიან აკლდა პრედრაგ ჯორჯევიჩი, რომელიც სამწუხაროდ, დისკვალიფიცირებული გვყავდა, თუმცა არსებობს ზოგადი შთაბეჭდილებაც, რომელიც ის არის, რომ მე ჩემი ფეხბურთელებით კმაყოფილი გახლავართ. ვფიქრობ, კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ „ოლიმპიაკოსს“ ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან შეუძლია თანაბრად თამაში. მეტიც, იყო მონაკვეთები, როდესაც ესპანელები თავიანთ საჯარიმოს მივაჯაჭვეთ“.

ახლა კი, რაც შეეხება დარჩენილ შანსებს. მათ შესახებ ოლეგ პროტასოვმა ასე განაცხადა: „ახლა გალათასარაისა“ და „იუვენტუსის“ შედეგს ველით. გვინდა უეფას თასზე გადავიდეთ და თუ სტამბოლში ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდება თამაში, ამას შევძლებთ“ — პროტასოვს იმედი აქვს, რომ იტალიელები თურქებს მოუგებენ.

„რეალ სოსეიდადის“ თავკაცი რეინალდ დენიოც „გალათასარაისა“ და „იუვეს“ თამაშს შეჰყურებს და მასაც „იუვეს“ წარმატება აწყობს.

„ჩვენ, მართალია, დღევანდელი შედეგით შემდგომ ეტაპზე ჯერ ვერ გავედით, მაგრამ ფრე ცუდი ნამდვილად არ ყოფილა. „ოლიმპიაკოსთან“ თამაში ჩემი ბიჭებისთვის იმიტომაც იყო კარგი, რომ 1:2-ის შემდეგ გონს ძალიან სწრაფად მოვეგეთ და გავათანაბრეთ ანგარიში, მით უფრო, რომ ათი ფეხბურთელით ვიყავით მოედანზე დარჩენილი“.

**პაპუნა ძიძია**

**გალათასარაი — იუვენტუსი**

*გაიმართება 2 დეკემბერს*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 10 |
| სოსიედადი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 8 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:6 | 4 |
| გალათასარაი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 3 |

*„იუვენტუსი“ გასულია მერვედფინალში*

**ბოლო ტური, 10 დეკემბერი**

იუვენტუსი — ოლიმპიაკოსი
სოსიედადი — გალათასარაი

## უეფას თასი 2003-2004. 1/32 ფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

# საპასუხოს კითხვეზი ჟუნიორმა პარმაში პესიმიზმი ჩაიტანა



ფრანჩესკო ტოტის სპლიტის ნაცვლად იტალიის სენატში უმასპინძლეს

**ლევსკი** (ბულგარეთი) — **სლავია** (ჩეხეთი) (2:2)
**დნიპრო** (უკრაინა) — **დინამო** (ხორვატია) (2:0)
**ლანსი** (საფრანგეთი) — **გაზიანთეფი** (თურქეთი) (0:3)
**ბრონდბიუ** (დანია) — **შალკე** (გერმანია) (1:2)
**ოსერი** (საფრანგეთი) — **უტრეხტი** (ჰოლანდია) (0:0)
**ვისლა** (პოლონეთი) — **ვოლერენგა** (ნორვეგია) (0:0)
**ჰართსი** (შოტლანდია) — **ბორდო** (საფრანგეთი) (1:0)
**დინამო** (რუმინეთი) — **სპარტაკი** (რუსეთი) (0:4)
**ბარსელონა** (ესპანეთი) — **პანიონიოსი** (საბერძნეთი) (3:0)
**სპორტინგი** (პორტუგალია) — **გენჩლერი** (თურქეთი) (1:1)
**ტორპედო** (რუსეთი) — **ვილიარეალი** (ესპანეთი) (0:2)
**გროცლინი** (პოლონეთი) — **მანჩესტერ სიტი** (ინგლისი) (1:1)
**მალიორკა** (ესპანეთი) — **კოპენჰაგენი** (დანია) (2:1)
**ნიუკასლი** (ინგლისი) — **ბაზელი** (შვეიცარია) (3:2)
**სოშო** (საფრანგეთი) — **დორტმუნდი** (გერმანია) (2:2)
**პარმა** (იტალია) — **ზალცბურგი** (ავსტრია) (4:0)
**ტეპლიცე** (ჩეხეთი) — **ფეიენოორდი** (ჰოლანდია) (2:0)
**მიოლდე** (ნორვეგია) — **ბენფიკა** (პორტუგალია) (1:3)
**ჰაიდუკი** (ხორვატია) — **რომა** (იტალია) (0:1)
**არისი** (საბერძნეთი) — **პერუჯა** (იტალია) (0:2)
**ლივერპული** (ინგლისი) — **სტიაუა** (რუმინეთი) (1:1)
**დებრეცენი** (უნგრეთი) — **პაოკ** (საბერძნეთი) (1:1)
**ცრვენა ზვეზდა** (სერბეთი) — **რუსენბორგი** (ნორვეგია) (0:0)
**მაკაბი** (ჰაიფა, ისრაელი) — **ვალენსია** (ესპანეთი) (0:0) გადაიდო

**პირველი** მატჩები იმგვარად დასრულდა, რომ დორტმუნდის „ბორუსია“, „ლივერპული“ და „ფეიენოორდი“ გვარიანი საფრთხის წინაშე დგანან — ვაითუ, მეთექვსმეტედფინალმა მათ გარეშე ჩაიაროს. სამივე მათგანმა პირველ მატჩებში ფრედ ითამაშეს.

ამ სამეულიდან ყველაზე კარგად საქმე მაინც „ლივერპულს“ აქვს, რადგან შინ თამაშობს. „დორტმუნდის“ ამოცანა უფრო რთულადაა, რაკი სოშოში უწევს ბრძოლა და იქ მატჩი 0:0 ან 1:1 რომც დამთავრდეს, მომდევნო ეტაპზე სოშოელები გადიან. ერთი სიტყვით, გერმანელებს, ფაქტობრივად, მხოლოდ მოგება აძლევთ ხელს. აი, „ფეიენოორდის“, უეფას თასის 2002 წლის მფლობელის ამოცანა, ყველაზე მეტად ჰგავს გადაუჭრელს — როტერდამელები „ტეპლიცესთან“ შინ დამარცხდნენ და სტუმრად რა უნდა გააწყონ.

საფრანგეთში გამგზავრების წინ დორტმუნდელთა მწვრთნელმა მათიას ზამერმა თქვა, მზად ვართ მთელი 90 წუთი მჭიდრო პრესინგით შევბოჭოთ მეტოქე, საამისოდ ფიზიკური გამძლეობა გვეყოფაო.

დორტმუნდელთა ბანაკში კი ცუდი ამბავი ისაა, რომ ნორვეგიელი მცველი ანდრე ბერგდოლმო დაშავებულია და თავისიანებს კიდევ კარგა ხანს ვერ დაეხმარება. თუმცა ეს ძველი ამბავია — ბერგდოლმო ესპანეთთან საპლეიოფო მატჩის წინ დაშავდა — და ზამერს მისი შემცვლელი მოძებნილი უნდა ჰყავდეს.

„სოშოში“ კი უახლესი ამბავი ის არის, რომ ნახევარმცველმა ფაბიენ ბუდარენმა კლუბთან კონტრაქტი 2006 წლამდე გააგრძელა. სხვა მხრივ, გუნდი საფრანგეთის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზეა და „ბორუსიას“ შიშიც მაინცდამაინც არ აქვს.

კარგი ამბავი ლივერპულიდან: მაიკლ ოუენი, რომელმაც ტრავმის გამო „სტიაუასთან“ ბუქარესტული მატჩი გამოტოვა, სასტარტო შემადგენლობაში სათამაშოდ მზად არის. შესაძლოა, დღეს მოედანზე გავიდეს გერმანელი ნახევარმცველი დიტმარ ჰამანიც, რომელსაც ამ სეზონში ჯერ არ უთამაშია. „დიტმარის გარეშე თამაში გვიჭირდა და თუ დაგვიბრუნდება, ეს დიდ შვებას მოგვგვრის. მისი დარი ფეხბურთელები მსოფლიოში ბევრნი არ არიან“ — თქვა ოუენმა. ცუდი ამბავი კი ისაა, რომ მცველი სტივ ფინანი დაშავებულია და თამაშს ვერ შეძლებს. ლივერპულელთა მენეჯერმა ჟერარ ულიემ თქვა, სტივი მთელი თვით გამოგვაკლდა და მის ღირსეულ შემცვლელზე ფიქრი მოგვიწევს, „სტიაუასთან“ კი სალიფდიაოს ვათამაშებო.

„ფეიენოორდმა“ ამ უქმეებზე თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა, ჰოლანდიის ჩემპიონატში „ვიტესს“ 3:0 მოუგო და შთამბეჭდავადაც გამოიყურებოდა. თუმცა ეს კარგი თამაში 0:2-ის ამოქაჩვას რამდენად ეყოფა, საკითხავი აი, ეგ არის.

ახლა ორიოდე სიტყვა მათზე ვთქვათ, ვისაც პრობლემები არ აქვთ და დღევანდელ მატჩებს არხეინად ხვდებიან.

მოსკოვის „სპარტაკს“ რუმინული „დინამოსთვის“ შინ 4:0 აქვს მოგებული. „ბარსელონა“ სამბურთიანი ჰანდიკაპით დაუხვდება ბერძნულ „პანიონიოსს“. „სპარტაკივით“ 4-ბურთიანი უპირატესობა აქვს „პარმას“ ავსტრიულ „ზალცბურგთან“ და თან შინ თამაშობს.

სხვათა შორის, პარმელთა ბრაზილიელი მცველი ჟუნიორი ერთადერთი ადამიანია, ვინაც „პარმას“ საბოლოო გამარჯვებაში დარწმუნებული არ არის. „სტუმრად 4:0 მოგება, რა თქმა უნდა, დიდებული შედეგია, მაგრამ გარანტიას არ იძლევა“ — თქვა ჟუნიორმა. საიდან ასეთი პესიმიზმი? ბრაზილია წინა კვირაში ურუგვაის 2:0 უგებდა და მერე სამი გოლი გაუშვა, ჟუნიორი იმ თამაშის მონაწილეა.

ლისაბონის „სპორტინგი“ ცენტრალური მცველის, უგოს გარეშე დაუხვდება „გენჩლერს“. უგომ წინა კვირაში პორტუგალიის თასზე მესამელიგელ „დეჟემბრუსთან“ შეხვედრისას ისე დაიშავა აქილევსის მყესი, რომ სეზონი დაამთავრა. მწვრთნელმა ფერნანდუ სანტუშმა კი თქვა, იმედი მაქვს, რაიმე ჯილდოს მოვიგებთ და უგოს მივუძღვნითო. თუ „სპორტინგს“ თურქული ბარიერის დაძლევა სურს, „გენჩლერს“, სულ მცირე, 0:0 უნდა ეთამაშოს.

უკეთესი მდგომარეობა აქვს მეორე პორტუგალიურ კლუბ „ბენფიკას“, რომელსაც „მიოლდესთვის“ პირველი მატჩი ორბურთიანი სხვაობით აქვს მოგებული. „ბენფიკა“ პორტუგალიის ჩემპიონატში მესამე ადგილზეა.

სპლიტელებს კი არ მიეცემათ ფრანჩესკო ტოტის ხილვის საშუალება და ცხადია, ამის გამო დიდად არც ინაღვლებენ. რომში „რომამ“ „ჰაიდუკს“ ოდენ 1:0 მოუგო ანტონიო კასანოს წამატებულ დროში გატანილი გოლით და ხორვატები საპასუხო შეხვედრას იმედიანად ელიან, მით უმეტეს, ტოტი თუ არ ითამაშებს. რომაელთა კაპიტანი კი მატჩს ზურგის ტკივილის გამო გამოტოვებს. ფაბიო კაპელომ ტოტი ხორვატიაში არც იახლა და ექიმებს დაუტოვა.

**კოტე კეკელია**




სტივ ფინანი „ლივერპულისთვის“ ერთი თვე ვერ გაიქნევს ფეხს



ანდრე ბერგდოლმო

## იტალია

თასის 1/8 ფინალი
1 მატჩი

**სიენა 1:2 იუვენტუსი**
**1:0 რუბინო (24), 1:1 ზალაიეტა (73), 1:2 ონვუაკი (82)**

# იმათ გადაუდეს და ამათ გადმოუდეს

**კალენდარული** არეულობაა: „იუვენტუსი“ სტამბოლში უნდა ჩასულიყო ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაზე, მაგრამ ტერაქტის გამო მატჩი 2 დეკემბრისთვის გადაუდეს. შესაბამისად, იტალიური ფეხბურთის ხელისუფალთ სწრაფი, უფრო სწორად კი ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება მოუხდათ — ქვეყნის თასის თამაში „სიენასთან“ სასწრაფოდ გადმოიტანეს ერთი კვირით ადრე და ამით სიენელთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვიეს.

მაგრამ, ასე მოხდა თუ ისე, მატჩი ჩატარდა, „იუვემ“ 2:1 მოიგო. „სიენას“, მართალია, ენრიკო კიეზა და ანდრეა არდიტო დაშავებულები ჰყავდა, სტარტი ძალიან კარგი გამოუვიდა და 27-ე წუთზე ანგარიშიც გახსნა — ნიკოლა ვენტოლას დარტყმული ანტონიო კიმენტიმ მოიგერია, მაგრამ ბურთი რაფაელე რუბინოს ჩაუვარდა და მანაც — გოლი შეაგდო.

ტაიმის მიწურულს იყო საპენალტო ეჭვი, თითქოს ალესანდრო ბირინდელიმ რობერტო დავერსა წააქცია საჯარიმოში, მაგრამ მსაჯმა აქეთ ჩასტვენის ნაცვლად სიენელი ფეხბურთელი გააფრთხილა.

უნდა აღინიშნოს, რომ „იუვენტუსს“ მეორე გუნდი ჰყავდა მოედანზე გაყვანილი, მათ შორის იყო 19 წლის ბენჯამინ ონვაუჯი, რომელსაც მარჩელო ლიპიმ მთელი 30 წუთი დაუთმო.

ანგარიში 44-ე წუთზე გათანაბრდა: მარსელო ზალაიეტას სუსტი, დაბალი დარტყმა მეკარე ფორტინმა რატომღაც გაუშვა, ხოლო 82-ზე ზემოხსენებულმა ბენჯამინმა იმავე ზალაიეტასთან გაითამაშა და ზუსტად დაარტყა.

**ბაბუნა ძიდია**

## ARRIVEDERCI კოლომბა!

**სერია A-ში** სულ ექვსი გუნდია ათ ტურში ოდენ სამი მატჩი რომ წაუგიათ. მათ შორისაა „რეჯინაც“, რომელიც გასულ უქმეებზე „სან სიროზე“ „ინტერთან“ 0:6 დამარცხდა. რეჯინელთა თავკაც ფრანკო კოლომბას წაგებულ მატჩებთან ერთად მოგებულიც დაუთვალეს და ოდენ ერთი აღმოჩნდა. კლუბის პრეზიდენტმა სწორედ ეს დაუწუნა მწვრთნელს, „ინტერთან“ განადგურების შემდეგ შეხვდა, ესაუბრა და ისინი ერთმანეთს პირზე კოცნით დაშორდნენ.

სავარაუდოდ, ფრანკო კოლომბას ფრანჩესკო გვიდოლინი შეცვლის, რომელიც შარშან „ბოლონიას“ თავკაცობდა და ამჟამად უსაქმოდაა.

**მამუკა ხუციშვილი**



# ექტორმა ვექტორი ჰოლანდიისკენ მიმართა

*დეპორტივოელმა ექტორმა გალისიურ „რიასორზე“ აეკ-თან საჩემპიონთალიგო შეხვედრაში ულამაზესი გოლი გაიტანა. ლაკორუნიელთა ნახევარმცველი გუნდისა და საკუთარი თამაშით ფრიად კმაყოფილია, ბოლო ტურში პსვ-სთან ძნელი მატჩიც არ აშინებს და თვლის, რომ „დეპორტივოს“ C ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის საკმაოდ კარგი შანსი აქვს. ელინებთან მატჩის შემდეგ ექტორს ესპანური „ლიბრედირექტოს“ კორესპოდენტი ესაუბრა*

**— აეკ-თან თამაშის შედეგით ალბათ ძალიან კმაყოფილი ხართ...**

— დიახ, რა თქმა უნდა. ეს ბრწყინვალე გამარჯვება იყო — ბერძნებთან მოპოვებული 3 ქულა მერვედფინალში გასასვლელად დიდ სამსახურს გაგვიწევს, თან მეც შევძელი გოლის გატანა. ამ ამბავმა განსაკუთრებით გამახარა.

**— „დეპორტივოს“ წინასამატჩო განწყობაზე რას გვეტყვით?**

— ჩვენთვის უაღრესად გადამწყვეტი შეხვედრა, ბუნებრივია, ყველა ფეხბურთელზე უდიდეს ზეგავლენას მოახდენდა. უიმედოდ არც ათენელებთან მატჩის წინ ვყოფილვართ და მით უმეტეს, ვერც დეკემბერში პსვ-სთან დაპირისპირება დაგვაფრთხობს.

**— ჩრდილოური სიცივე პლუს საჩემპიონთალიგო დაძაბულობა — „დეპორი“ ჰოლანდიაში მაინც გამარჯვებას გეგმავს?**

— რთული თამაში იქნება, მაგრამ არა მხოლოდ „დეპორტივოსთვის“... იმათ გაცილებით უარესად აქვთ საქმე — ჯგუფიდან გასასვლელად ოდენ მოგება სჭირდებათ. თუმც გალისიური გრანდი თავისას ეცდება და „ეინდჰოვენს“ საკუთარ „ფილიპსზე“ დაამარცხებს.

**— ანუ, თქვენი აზრით, ირურეტას გუნდის შემდგომ წინსვლას ხელს ვერაფერი შეუშლის...**

— პირადად ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ მერვედფინალი დავკარგოთ. ის კი არა, რავისუფლად შეიძლება, „მონაკო“ მეორე ადგილზეც ჩამოვაქვეითოთ, თუმც ეს მარტო „პსვ“ — „დეპორტივოს“ თამაშზე არ არის დამოკიდებული.

**— გალისიურმა კლუბმა ამ ტურის ამოცანა სრული წარმატებით ამოხსნა?**

— შთამბეჭდავმა 3:0-მა მგონი, უკვე გასცა თქვენს შეკითხვას პასუხი. აეკ-ს დიდი უპირატესობით ვძლიეთ.

**— დასასრულ პრიმერადივიზიონის პერიპეტიებსაც გადავხედოთ. „ბეტისთან“ დაზავების შემდეგ „დეპორმა“ ესპანეთის ჩემპიონატში პირველი ადგილი მადრიდის „რეალს“ დაუთმო. 30 ნოემბერს „ვილიარეალს“ როგორ დაუხვდებით?**

— როგორც ყველა სტუმარს ვხვდებით — უშელავათო ბრძოლით. ვიმედოვნებ, ლიდერობას უკვე მომავალ ტურში დავიბრუნებთ.

## მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

# ჩაიწერეთ, ადუ მოდის!

**დღეს** არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ახალგაზრდათა შორის მსოფლიოს მეთოთხმეტე ჩემპიონატის ფინალური ტურნირი დაიწყება. ჩემპიონატის მატჩები საამიროების ოთხ ქალაქში — აბუ დაბიში, ალ აინში, შარიანში და დუბაიში გაიმართება. 6 ჯგუფში განაწილებული 24 გუნდი ჯგუფურ ეტაპის თამაშებს 5 დეკემბერს დაასრულებს, 8-ში და 9-ში კი მერვედფინალები გაიმართება. მერვედფინალში თითოეული ჯგუფის პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები გავლენ, რომლებსაც ოთხი საუკეთესო მესამეადგილოსანი შეუერთდება.

გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ, რომ ორი წლის წინ ჩემპიონატი არგენტინაში გაიმართა და მასპინძელთა ბრწყინვალე ნაკრებმა ხოსე პეკერმანის თავკაცობით ფინალში განელები დაამარცხა. სწორედ მაშინ გამოჩნდა მოპუსკული ხავიერ სავიოლა და 11 გოლით ბომბარდირი გახდა, 6-6 კი ადრიანომ და ჯიბრილ სისემ მიითვალეს.

ამჯერად მსოფლიოს აფორიაქებას ამერიკა ეცდება. მათ ნაკრებში სამშობლოში ახალ პელედ მონათლული 14 წლის ფრედი ადუ ჰყავთ, რომელმაც ახლახან მეიჯორ ლიგის „დი სი იუნაიტედთან“ პროფესიული კონტრაქტი გააფორმა. წარმოშობით განელი ადუთი ევროპელი ბობოლები უკვე დაინტერესდნენ, „ინტერს“ კი ფრედის სანაცვლოდ ფულის შეთავაზებაც მოუსწრია.

ჩემპიონატი დღეს საამიროებისა და სლოვაკეთის ნაკრებების მატჩით გაიხსნება და იმასაც გეტყვით, რომ აქამდე აზიაში ჩატარებული ჩემპიონატების გახსნით შეხვედრებში მასპინძლებს არასოდეს მოუგიათ.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ჯგუფური ეტაპი

**A ჯგუფი**

ბურკინა ფასო, პანამა, სლოვაკეთი, საამიროები

| | |
|---|---|
| 27.11 | საამიროები — სლოვაკეთი |
| 28.11 | პანამა — ბურკინა ფასო |
| 01.12 | ბურკინა ფასო — სლოვაკეთი |
| 01.12 | პანამა — საამიროები |
| 04.12 | საამიროები — ბურკინა ფასო |
| 04.12 | სლოვაკეთი — პანამა |

**B ჯგუფი**

არგენტინა, მალი, ესპანეთი, უზბეკეთი

| | |
|---|---|
| 28.11 | არგენტინა — ესპანეთი |
| 28.11 | უზბეკეთი — მალი |
| 01.12 | მალი — ესპანეთი |
| 01.12 | უზბეკეთი — არგენტინა |
| 04.12 | არგენტინა — მალი |
| 04.12 | ესპანეთი — უზბეკეთი |

**C ჯგუფი**

ავსტრალია, ბრაზილია, კანადა, ჩეხეთი

| | |
|---|---|
| 28.11 | ბრაზილია — კანადა |
| 28.11 | ჩეხეთი — ავსტრალია |
| 01.12 | ავსტრალია — კანადა |
| 01.12 | ჩეხეთი — ბრაზილია |
| 04.12 | ბრაზილია — ავსტრალია |
| 04.12 | კანადა — ჩეხეთი |

**D ჯგუფი**

კოლუმბია, ეგვიპტე, ინგლისი, იაპონია

| | |
|---|---|
| 29.11 | კოლუმბია — ეგვიპტე |
| 29.11 | იაპონია — ინგლისი |
| 02.12 | ინგლისი — ეგვიპტე |
| 02.12 | იაპონია — კოლუმბია |
| 05.12 | კოლუმბია — ინგლისი |
| 05.12 | ეგვიპტე — იაპონია |

**E ჯგუფი**

კოტ დივუარი, ირლანდია, მექსიკა, საუდეთი

| | |
|---|---|
| 29.11 | საუდეთი — ირლანდია |
| 29.11 | მექსიკა — კოტ დივუარი |
| 02.12 | კოტ დივუარი — ირლანდია |
| 02.12 | მექსიკა — საუდეთი |
| 05.12 | საუდეთი — კოტ დივუარი |
| 05.12 | ირლანდია — მექსიკა |

**F ჯგუფი**

გერმანია, სამხრეთ კორეა, პარაგვაი, აშშ

| | |
|---|---|
| 29.11 | პარაგვაი — აშშ |
| 29.11 | ს. კორეა — გერმანია |
| 02.12 | გერმანია — აშშ |
| 02.12 | ს. კორეა — პარაგვაი |
| 05.12 | პარაგვაი — გერმანია |
| 05.12 | აშშ — ს. კორეა |






მეტიუ კოული



ჯოან ბექემი

# მშლი: ჩემმა ძმამ შენი და...

**დევიდ ბექემის** 21 წლის დაიკო, ჯოანი, რომელიც არცთუ შორეულ წარსულში „ვესტ ჰემის“ თავდამსხმელს ჯერმან დეფოს ეძლეოდა, ახლა ეშლი კოულის ძმაზე გადაერთო. ეშლი კოული, მოგეხსენებათ, „არსენალის“ და ინგლისის ნაკრების ცნობილი მოთამაშეა.

„ჯოანი მაინცდამაინც ფეხბურთთან დაკავშირებულ ხალხს არ ჰყვარობს, ეს უბრალოდ, გარედან ჩანს ასე — თქვა ერთმა მეგობარმა — იგი მეტიუს რამდენიმე თვეა იცნობს, ურთიერთობა კი მხოლოდ ახლა გაუღრმავდათ“.

და კიდევ, დიდი სისულელე თქვეს — კიდევ კარგი დევიდი ესპანეთში გადავიდა, თორემ აქ ინგლისში, მისი „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ეშლის „არსენალი“ დიდი მტრები არიანო.

21 წლის მეტიუ კოული დედასიუსთან ერთად სადღაც ჩიგველში ცხოვრობს, მაშინ, როდესაც ჩვენი კარგი ჯოანი, რომელიც პროფესიით პარიკმახერი თუ სტილისტია, დედიკო სანდრასთან ერთად საფტონში ბინადრობს.

**პაპუნა ძედია**

## ინგლისი

**I დივიზიონი**

**გადადებული მატჩები**

**ბარნლი 3:0 რედინგი**

1:0 რ. ბლეიქი (5), 2:0 ჩეპლოუ (47), 3:0 ნ. ჩედვიკი (54)

**კარდიფი 1:1 ვესტ ბრომვიჩი**

0:1 კუმასი (49), 1:1 ერნშოუ (65)

**ნორვიჩი 1:1 ძოვენთრი**

1:0 ჰენდერსონი (35), 1:1 მაკალისტერი (493)

**სტოკი 0:1 კრისტალ პალასი**

0:1 ჯონსონი (27)

**უიმბლდონი 1:1 ვესტ ჰემი**

0:1 დინი (51), 1:1 მაკანუფი (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი | 19 | 11 | 4 | 4 | 28:17 | 37 |
| ნორვიჩი | 20 | 10 | 6 | 4 | 29:20 | 36 |
| უიგანი | 19 | 9 | 7 | 3 | 28:16 | 34 |
| შეფილდი | 19 | 10 | 4 | 5 | 29:21 | 34 |
| სანდერლენდი | 19 | 9 | 5 | 5 | 22:15 | 32 |
| კარდიფი | 19 | 8 | 7 | 4 | 32:18 | 31 |
| იფსვიჩი | 19 | 9 | 4 | 6 | 37:28 | 31 |
| რედინგი | 20 | 9 | 4 | 7 | 25:22 | 31 |
| ვესტ ჰემი | 19 | 7 | 9 | 3 | 23:16 | 30 |
| პრესტონი | 19 | 8 | 4 | 7 | 26:21 | 28 |
| მილუოლი | 20 | 7 | 7 | 6 | 22:20 | 28 |
| ქრიუ | 19 | 8 | 3 | 8 | 21:23 | 27 |
| ნოტინგემი | 19 | 7 | 5 | 7 | 32:26 | 26 |
| უოლსოლი | 19 | 6 | 6 | 7 | 23:21 | 24 |
| ქოვენთრი | 19 | 5 | 9 | 5 | 25:25 | 24 |
| უოტფორდი | 20 | 6 | 6 | 8 | 21:24 | 24 |
| ბარნლი | 20 | 6 | 6 | 8 | 28:33 | 24 |
| ჯილინგემი | 20 | 6 | 5 | 9 | 24:33 | 23 |
| კრ. პალასი | 19 | 5 | 6 | 8 | 22:30 | 21 |
| სტოკი | 19 | 5 | 5 | 9 | 21:26 | 20 |
| დერბი | 20 | 4 | 7 | 9 | 20:33 | 19 |
| როტერჰემი | 19 | 3 | 8 | 8 | 14:28 | 17 |
| ბრედფორდი | 19 | 3 | 5 | 11 | 16:29 | 14 |
| უიმბლდონი | 20 | 4 | 2 | 14 | 21:44 | 14 |

## შოტლანდია

**პრემიერლიგა**

**გადადებული მატჩი**

**მოზერუელი 2:2 დანფერმლაინი**

0:1 კროუფორდი (15), 0:2 ბრიუსტერი (39), 1:2 პირსონი (70), 2:2 კორიგანი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 13 | 12 | 1 | 0 | 43:4 | 37 |
| რეინჯერსი | 13 | 10 | 2 | 1 | 36:11 | 32 |
| ჰართსი | 13 | 8 | 2 | 3 | 21:15 | 26 |
| მოზერუელი | 13 | 5 | 5 | 3 | 17:15 | 20 |
| დანფერმლაინი | 13 | 5 | 4 | 4 | 14:17 | 19 |
| ლივინგსტონი | 13 | 4 | 5 | 4 | 14:14 | 17 |
| დანდი | 13 | 4 | 4 | 5 | 14:15 | 16 |
| ჰიბერნიანი | 13 | 4 | 4 | 5 | 14:19 | 16 |
| კილმარნოკი | 13 | 4 | 2 | 7 | 18:30 | 14 |
| დანდი იუნ. | 13 | 2 | 4 | 7 | 10:26 | 10 |
| აბერდინი | 13 | 2 | 1 | 10 | 9:27 | 7 |
| პარტიკი | 13 | 0 | 2 | 11 | 11:28 | 2 |

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველა თავისას შარდავდა

## კარეკას და მარადონას მეგობრობაზე მათი ცოლები ჭორაობენ



*ვისაც კარეკა ახსოვს და გაიგებს, რომ იგი ახლა 43 წლისაა, აუცილებლად შეიცხადებს, დრო რა სწრაფად გადისო. არადა მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ეს ბრაზილიელი თავდამსხმელი დღენიადაგ ჩვენს თვალწინ ტრიალებდა, გამოირჩეოდა 1986 და 1990 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ხოლო საკლუბო ფეხბურთს ერთიხანობა „ნაპოლიში", დიეგო მარადონას მხარდამხარ თამაშობდა.*

*ბოლოხანს კარეკა სან პაულუს გარეუბანში ცხოვრობდა უშფოთველი ცხოვრებით, მაგრამ როგორც ჩანს, უქმად ყოფნა მობეზრდა და უცხოეთში მწვრთნელად წასვლა გადაწყვიტა.*



— ახლა რას აპირებთ?

— აქ, კამპინასში სპორტული ცენტრის პატრონი გახლავართ. მთელი კომპლექსი მაქვს, მასში შედის საფეხბურთო მოედნები, ჩოგბურთის კორტები, აუზი, სარბენი ბილიკები... მხარში ძველი მეგობარი, ედმარი მიდგას. მე და ედმარი „გუარანიში" ერთად ვთამაშობდით. უახლოეს მომავალში აქვე სასტუმროს აშენებას ვაპირებთ. გარდა ამისა, პროფესიულ საფეხბურთო კლუბ „კამპინასს" ვფლობთ. ეს გუნდი სან პაულუს შტატის ყველაზე დაბალ ლიგაში გამოდის. საგანგებო ყურადღებას ახალგაზრდობის აღზრდას ვუთმობთ.

**— მწვრთნელობა არასდროს გდომებიათ?**

— რამდენიმე შემოთავაზება მქონდა, მათ შორის იაპონიიდან, მაგრამ კონტრაქტის გაფორმებას ბოლოწამს რაღაცამ შეუშალა ხელი. თუმცა, არ არის გამორიცხული, გაისად მაინც გავემგზავრო ამ ქვეყანაში და მეორე დივიზიონის გუნდ „ტოლსოს" ჩავუდგე სათავეში. იქაურ ფეხბურთელებს ზედა ლიგაში გადასვლა სურდათ, მინდა ხელი შევუწყო.

**— იცით, რა თქვეს? თითქოს თქვენ „ნაპოლში" დაბრუნებას და მოთამაშე-მწვრთნელის რანგში გუნდის სერია A-ში აყვანას აპირებთ.**

— რას ამბობთ. ამაზე ერთხელ ვიხუმრე და... ისე, ცდა ბედის მონახევრეაო.

**— ბოლოს როდის ნახეთ „ნაპოლის" დროინდელი თანაგუნდელი დიეგო მარადონა?**

— კარგა ხნის წინ. აი, ჩვენი ცოლები კი ტელეფონით ხშირად ჭორაობენ. ბოლოს მარადონას მის გამოსათხოვარ მატჩზე შევხვდი, მაგრამ იქ გამოლაპარაკების დრო და საშუალება არც იყო. ისე, წესით მალე უნდა შევხვდეთ ერთმანეთს.

**— შეიძლება კაცმა მეგობრები გიწოდოთ?**



— იტალიაში განუყრელნი ვიყავით. ყოველ დღეს ერთად ვატარებდით. ბავშვები ერთად იზრდებოდნენ და ასე შემდეგ. არასდროს დავივიწყებ, რომ იტალიაში დამკვიდრება სწორედ დიეგოს წყალობით შევძელი.

**— არც ისე დიდი ხნის წინ, მაშინდელი „ნაპოლის" პრეზიდენტმა ფერლაინომ განაცხადა, რომ დოპინგ-ტესტებზე მარადონა სხვის შარდს აბარებდა. თქვენსას ხომ არა?**

— ვერ გამიგია, რატომ მოეპრიანა ფერლაინოს ასეთი სისულელის თქმა. ასეთი რამ ვერ მოხდებოდა, რადგან ანალიზის ჩაბარების პროცედურა ქილების შეცვლის საშუალებას არ იძლეოდა. ექიმი თავად ესწრებოდა ყველაფერს.

**— რამდენიმე წლის წინ თქვენი ფეხბურთელებისთვის ყალბი იტალიური პასპორტების ყიდვაში გედებოდათ ბრალად.**

— იტალიელი სელექციონერების ყურადღება ჩვენი გუნდის რამდენიმე ფეხბურთელმა მართლაც მიიპყრო. შემდეგ გაირკვა, რომ ეს ბიჭები წარმოშობით ევროპიდან არიან. საბუთების საკითხში დახმარებისთვის სან პაულუში ადვოკატებს მივმართეთ, მაგრამ სამწუხაროდ, გაირკვა, რომ თაღლითთა ხელში ჩავვარდით. ეს ხალხი თურმე ყალბ საბუთებს ამზადებდა. მე თვითონ პასპორტი არასდროს მიყიდია.

**— ფეხბურთის გარდა რას საქმიანობთ?**

— ვგიჟდები ჩოგბურთზე. ჩემი ვაჟი ტიაგუ ამ ცოტა ხნის წინ ჩვიდმეტი წლისა შეიქნა და უნდა გითხრათ, რომ ამ სარბიელზე წარმატებებით სარგებლობს. აი, ფეხბურთი კი, გინდ გაგიკვირდეთ, გინდ არა, არასდროს ჰყვარებია. იმედი მაქვს, რომ ტიაგუ ოდესმე დიდი ჩოგბურთის ელიტაში მოხვდება.

**— არ გენატრებათ ფეხბურთელობა?**

— იცით, ფეხბურთი სამსახურად არასდროს მიმაჩნდა, ის ჩემი ცხოვრებიდან ვერსად წავა. თავადაც ვთამაშობ და თუ სადმე კარგი მატჩი მეგულება, ვესწრები. მართალია, სწრაფი აღარ ვარ, მაგრამ მერწმუნეთ, მცველებს მაინც ვუმკლავდები.

**— კარიერაში ყველაზე მეტად რამ გაგიცრუათ მოლოდინი?**

— „ნანტთან" კონტრაქტის ჩაშლამ. ეს ჯერ კიდევ მაშინ მოხდა, სანამ „სან პაულუში" გადავიდოდი. „ნაპოლის" შემდეგ „მონაკოში" დარჩენის შანსიც მქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ამით ვისარგებლე. ერთი სიტყვით, ფრანგულში ენა ვერ გავიტეხე. არადა, ეს ენა ბავშვობიდან მიყვარს.

*და ბოლოს, გავიხსენოთ კარეკას ოფიციალური გამოსათხოვარი თამაში, რომელიც ექსვარსკვლავმა გვარიანად გვიან, აგერ ახლახან, 2002 წლის თებერვალში მოიწყო და... მაყურებლის სტადიონზე შესვლის საზღაურად თითო კილო საჭმლის მოტანა სთხოვა. საკვები რომ შეგროვდა, კარეკამ ის უპოვრებს გაუგზავნა, ხოლო მოედანზე ერთმანეთის პირისპირ ბრაზილიური „გუარანი" და ამერიკული „ნიუ ინგლანდ რევოლუშენ" წარსდგნენ.*

# ბაბუ გადადგა

## ახლა დონატო შვილიშვილს მიხედავს

*წარმოშობა-აღზრდით ბრაზილიელმა, ხოლო მოქალაქეობითა და ნაკრებით ესპანელმა დონატომ, ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთს თავი დაანება. დონატომ ეს ნაბიჯი 41 წლისამ გადადგა*




დონატოს კონტრაქტს „დეპორტივო ლა კორუნიასთან" გასულ გაზაფხულზე გაუვიდა ვადა, მას მერე კი ცენტრალურმა მცველმა ახალი სამსახური ვერ იშოვნა. საბოლოო დათვლა გვაჩვენებს, რომ მან ესპანურ პრიმერდივიზიონში ჩატარებულ 15 სეზონში 466 შეხვედრა ითამაშა. საინტერესოა, რომ თანაგუნდელებში ბაბუდ წოდებულმა საბოლოოდ წასვლა იმიტომ კი არ გადაწყვიტა, რომ დაბერდა ან სათავისო გუნდი ვერ იპოვნა, არამედ იმიტომ, რომ მისი უფროსი შვილი ფეხმძიმედაა და დღედღეზე იმშობიარებს.

„ამიერიდან მართლაც ბაბუ გავხდები — თქვა დონატომ — ხოლო პატარას და მთელ ჩემს ოჯახს ახლა სწორედ ლა კორუნიაში ვჭირდები. ამიტომ, რაღაც სხვა საქმე უნდა მოვძებნო".

დონატო ესპანეთში 1988 წელს ჩავიდა და მადრიდის „ატლეტიკოში" დაიწყო თამაში. მანამდე ბრაზილიაში, „ვასკუ და გამაში" გამოდიოდა. „ატლეტიკოში" გატარებული ხუთი წელიწადი მისთვის და კლუბისთვის კარგი გამოდგა. კლუბმა „სამეფო თასი" მოიგო, თავად კი საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

30 წლის დონატო შემდეგ „დეპორტივოში" გადავიდა, რათა კარიერა იქ დაესრულებინა, მაგრამ ლაკორუნიელებმა ცენტრალური მცდელობა დააკისრეს და კოჭიც ალჩუზე დაუჯდა. 31 წლის დონატო ესპანეთის ნაკრებში აიყვანეს! მისი დებიუტი დანიასთან (3:0) შეხვედრაში შედგა, ხოლო სულ ხავიერ კლემენტეს ხელმძღვანელობით 12 თამაშში მიიღო მონაწილეობა.

ჯამში დონატოს კარიერა 23 წელიწადს ითვლის და ამ კარიერის მწვერვალი 2000 წელს ამოიმართა, როდესაც მან ესპანეთის ჩემპიონატის ტიტული მიიღო. ის კი არა, ამ ტიტულისთვის ბრძოლის გადამწყვეტ შეხვედრაში „ესპანიოლს" პირველი გოლი სწორედ მან გაუტანა.

2001 წელს დონატოსა და „დეპორტივოს" პრეზიდენტ აგუსტო ლენდორიოს შორის დიდი ვაჭრობა გაიმართა, რის შედეგადაც ყოველ წელიწადს განახლებადი კონტრაქტიც იშვა, მაგრამ რეალურად ორი წელიწადი იმუშავა. მიზეზი: დონატოს მუხლზე ოპერაციის გაკეთება მოუხდა.

„რამდენიმე კვირა მესამე დივიზიონის „არტეიხოსთან" ერთად წავივარჯიშე, მაგრამ მუხლი მაინც მაწუხებდა. არა უშავს, ამიერიდან ისე, სიამოვნებისთვის ვიბურთავებ" — თქვა ბაბუმ.

**პაატუნა ძიძია**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XIV ტური** | | | | | | |
| | | **29 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 001 | ვულვერჰემპტონი-ნიუკასლი | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |
| 19.00 | 002 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 19.00 | 003 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 004 | ბოლტონი-ევერტონი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 005 | ჩარლტონი-ლიდსი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 006 | პორტსმუთი-ლესტერი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 007 | არსენალი-ფულემი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 008 | არსენალი-ფულემი 0:1 | 1,95 | 3,1 | 2,7 | | | |
| 19.00 | 009 | ლივერპული-ბირმინგემი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 19.00 | 010 | სიტი-მიდლსბრო | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 20.05 | 011 | ჩელსი-მანჩესტერი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXI ტური** | | | | | | |
| | | **29 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 020 | კარდიფი-იფსვიჩი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 021 | კრისტალ პალასი-ქოვენთრი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 022 | დერბი-უიმბლდონი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 023 | ჯილინგემი-სტოკი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 19.00 | 024 | ნორვიჩი-ქრიუ | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 025 | ნოტინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 026 | რედინგი-უოტფორდი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 027 | როტერჰემი-უოლსოლი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 028 | შეფილდი-პრესტონი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 029 | სანდერლენდი-ბარნლი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 030 | ვესტ ჰემი-უიგანი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 21.35 | 031 | ბრედფორდი-მილუოლი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XX ტური** | | | | | | |
| | | **29 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 035 | ბარნსლი-სტოკპორტი | 1,6 | 3,4 | 5,3 | 1,08 | 1,22 | 2,07 |
| 19.00 | 036 | ბლეკპული-ბრისტოლი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 037 | ბორნმუთი-ბრენტფორდი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 038 | ბრაიტონი-რექსემი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 19.00 | 039 | კოლჩესტერი-პლიმუთი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 19.00 | 040 | გრიმსბი-ტრანმერი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 041 | ჰარტლპული-სუინდონი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 042 | ლუტონი-ჩესტერფილდი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 19.00 | 043 | ოლდემი-ნოტსი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 19.00 | 044 | პორტ ვეილი-რაშდენი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.00 | 045 | ქუინზ პარკი-უენსდი | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |
| 19.00 | 046 | უიკომბი-პიტერბრო | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XX ტური** | | | | | | |
| | | **29 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 050 | ბოსტონი-კიდერმინსტერი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.00 | 051 | როვერსი-ჰალი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 052 | კემბრიჯი-ლეიტონი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 053 | კარლაილი-დონკასტერი | 4,4 | 3,4 | 1,7 | 1,91 | 1,22 | 1,13 |
| 19.00 | 054 | დარლინგტონი-სკანთორპი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 055 | ჰადერსფილდი-ჩელტენემი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 19.00 | 056 | მაკლსფილდი-ბერი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 19.00 | 057 | ნორთჰემპტონი-მენსფილდი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 19.00 | 058 | როჩდეილი-ოქსფორდი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 19.00 | 059 | ტორკი-საუთენდი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| 19.00 | 060 | იოვილი-ლინკოლნი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 19.00 | 061 | იორკი-სუონსი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XIV ტური** | | | | | | |
| | | **29 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 094 | სელტიკი-პარტიკი | 1,05 | 9,0 | 25,0 | 1 | 1 | 6,61 |
| | 095 | სელტიკი-პარტიკი 0:1 | 1,1 | 5,6 | 6,5 | | | |
| 19.00 | 096 | დანფერმლაინი-აბერდინი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 19.00 | 097 | კილმარნოკი-მოზერუელი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 098 | ლივინგსტონი-დანდი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 099 | ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 10,0 | 5,0 | 1,25 | 3,33 | 1,11 | 1 |
| 19.00 | 100 | დანდი იუნაიტედი-ჰართსი | 3,4 | 3,3 | 2,0 | 1,67 | 1,25 | 1,24 |
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XIV ტური** | | | | | | |
| | | **29 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 117 | ლევერკუზენი-მიუნხენი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 118 | ლევერკუზენი-მიუნხენი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.30 | 119 | ბაიერნი-კიოლნი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 120 | ბაიერნი-კიოლნი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 18.30 | 121 | ჰამბურგი-ვერდერი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 122 | ჰანოვერი-ფრაიბურგი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 18.30 | 123 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 18.30 | 124 | მიონხენგლადბახი-კაიზერსლაუტერნი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 18.30 | 125 | ბოხუმი-შტუტგარტი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 126 | ჰერტა-შალკე | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 20.30 | 127 | ჰანზა-დორტმუნდი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XIV ტური** | | | | | | |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 129 | ოსნაბრიუკი-ალემანია | 2,6 | 3,3 | 2,35 | 1,45 | 1,23 | 1,37 |
| 22.00 | 130 | კოტბუსი-დუისბურგი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 22.00 | 131 | კარლსრუე-რეგენსბურგი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 132 | ალენი-ტრირი | 2,05 | 3,3 | 3,2 | 1,26 | 1,24 | 1,62 |
| 18.00 | 133 | ობერჰაუზენი-უნიონი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 18.00 | 134 | აუე-ფიურტი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 18.00 | 135 | მაინცი-ლიუბეკი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 18.00 | 136 | ბურგჰაუზენი-უნტერჰახინგი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.15 | 137 | ნიურნბერგი-არმინია | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XVIII ტური** | | | | | | |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 141 | დინამო-ბრაუნშვაიგი | 1,85 | 3,4 | 3,4 | 1,19 | 1,19 | 1,7 |
| 22.30 | 142 | კილი-ვერდერი(მ) | 2,35 | 3,3 | 2,5 | 1,37 | 1,21 | 1,42 |
| 22.30 | 143 | ზტ.პაული-ვატენშაიდი | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,19 | 1,79 |
| | | **29 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 144 | ქემნიცი-ლაიპციგი | 1,85 | 3,4 | 3,4 | 1,19 | 1,19 | 1,7 |
| 17.00 | 145 | ვუპერტალი-ურდინგენი | 1,7 | 3,5 | 4,0 | 1,14 | 1,19 | 1,86 |
| 17.00 | 146 | ესენი-კიოლნი(მ) | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| 17.00 | 147 | პადერბორნი-დორტმუნდი(მ) | 1,8 | 3,4 | 3,5 | 1,17 | 1,18 | 1,72 |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 148 | ჰამბურგი(მ)-ნოიმიუნსტერი | 1,65 | 3,4 | 4,0 | 1,11 | 1,16 | 1,83 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XVIII ტური** | | | | | | |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 153 | შვაინფურტი-აალენი | 2,3 | 3,3 | 2,6 | 1,35 | 1,22 | 1,45 |
| | | **29 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 154 | ეშბორნი-ჰოფენჰაიმი | 2,4 | 3,3 | 2,45 | 1,38 | 1,21 | 1,4 |
| 17.30 | 155 | ფულენდორფი-ოფენბახი | 2,1 | 3,3 | 3,0 | 1,28 | 1,23 | 1,57 |
| 17.30 | 156 | შტუტგარტი(მ)-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 17.30 | 157 | ვეენი-ზიგენი | 1,65 | 3,5 | 4,4 | 1,12 | 1,2 | 1,94 |
| 17.30 | 158 | აუგსბურგი-ელვერსბერგი | 1,75 | 3,5 | 3,6 | 1,16 | 1,17 | 1,77 |
| 17.30 | 159 | ზაარბრიუკენი-ფოიხტი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## იტალია. სერია A. XI ტური

**29 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 162 | სიენა-ლაციო | 3,4 | 3,0 | 2,15 | 1,59 | 1,31 | 1,25 |
| 23.30 | 163 | იუვენტუსი-ინტერი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |

**30 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 164 | მილანი-მოდენა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 165 | მილანი-მოდენა 0:1 | 1,7 | 3,1 | 3,3 | | | |
| 18.00 | 166 | პარმა-კიევო | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |
| 18.00 | 167 | პერუჯა-ემპოლი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 18.00 | 168 | რეჯინა-ბოლონია | 2,0 | 3,0 | 3,8 | 1,2 | 1,31 | 1,67 |
| 18.00 | 169 | რომა-ლეჩე | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 170 | რომა-ლეჩე 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 18.00 | 171 | სამპდორია-ანკონა | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 172 | სამპდორია-ანკონა 0:1 | 2,2 | 3,0 | 2,4 | | | |
| 23.30 | 173 | ბრეშა-უდინეზე | 2,4 | 2,9 | 3,0 | 1,31 | 1,33 | 1,47 |

## იტალია. სერია B. XVII ტური

**28 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 174 | ჯენოა-პალერმო | 2,9 | 2,7 | 2,5 | 1,39 | 1,34 | 1,29 |

**30 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 175 | ალბინოლეფე-სალერნიტანა | 2,0 | 2,6 | 4,4 | 1,13 | 1,37 | 1,63 |
| 18.00 | 176 | ბარი-კალიარი | 2,4 | 2,6 | 3,2 | 1,24 | 1,37 | 1,43 |
| 18.00 | 177 | კატანია-ასკოლი | 1,9 | 2,6 | 4,8 | 1,09 | 1,36 | 1,68 |
| 18.00 | 178 | კომო-ვენეცია | 2,35 | 2,6 | 3,3 | 1,23 | 1,37 | 1,45 |
| 18.00 | 179 | ფიორენტინა-ლივორნო | 2,25 | 2,6 | 3,5 | 1,2 | 1,36 | 1,49 |
| 18.00 | 180 | ნაპოლი-პესკარა | 1,75 | 2,7 | 5,6 | 1,06 | 1,33 | 1,82 |
| 18.00 | 181 | პიაჩენცა-აველინო | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 18.00 | 182 | ტრევიზო-მესინა | 2,1 | 2,7 | 3,8 | 1,18 | 1,35 | 1,57 |
| 18.00 | 183 | ტრიესტინა-ტერნანა | 2,4 | 2,7 | 3,1 | 1,27 | 1,35 | 1,44 |
| 18.00 | 184 | ვერონა-ტორინო | 2,7 | 2,6 | 2,8 | 1,32 | 1,37 | 1,34 |
| 18.00 | 185 | ვიჩენცა-ატალანტა | 2,9 | 2,6 | 2,6 | 1,37 | 1,37 | 1,3 |

## ესპანეთი. I დივიზიონი. XIII ტური

**29 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 189 | მურსია-სოსიედადი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 22.30 | 190 | ოსასუნა-რეალი | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |
| 00.30 | 191 | ატლეტიკო-მალაგა | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 00.30 | 192 | ვალენსია-სარაგოსა | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 193 | ვალენსია-სარაგოსა 0:1 | 2,15 | 3,1 | 2,4 | | | |

**30 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 194 | ალბასეტე-ესპანიოლი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 20.00 | 195 | მალიორკა-ბეტისი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 20.00 | 196 | ბილბაო-რასინგი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 20.00 | 197 | სევილია-სელტა | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 22.00 | 198 | ბარსელონა-ვალიადოლიდი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 199 | ბარსელონა-ვალიადოლიდი 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,6 | | | |
| 24.00 | 200 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 201 | დეპორტივო-ვილიარეალი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |

## ბელგია. I დივიზიონი. XIV ტური

**29 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 289 | ბევერენი-გენკი | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| 23.00 | 290 | ანდერლეხტი-ლიერსი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 291 | ანდერლეხტი-ლიერსი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 23.00 | 292 | ვესტერლო-მონსი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.00 | 293 | შარლერუა-ბეერსხოტი | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1,54 |
| 23.00 | 294 | ანტვერპენი-ლოკერენი | 2,15 | 3,4 | 3,0 | 1,31 | 1,25 | 1,59 |
| 23.00 | 295 | გენტი-ლუვიე | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |

**30 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 296 | სტ.ტრუიდენი-სერკლი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 18.00 | 297 | ჰეუსდენი-სტანდარდი | 5,0 | 3,6 | 1,6 | 2,09 | 1,21 | 1,1 |
| 23.00 | 298 | ბრიუგე-მუსკრონი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

## დანია. სუპერლიგა. XIX ტური

**29 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 347 | ესბიერგი-ოლბორგი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |

**30 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 348 | აკადემისკი-მიდტიულანდი | 3,8 | 3,4 | 1,8 | 1,79 | 1,22 | 1,17 |
| 18.00 | 349 | ოდენსე-ფრემი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 350 | ოდენსე-ფრემი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.00 | 351 | ვიბორგი-კოპენჰაგენი | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| 18.00 | 352 | ორჰუსი-ჰერფიოლგე | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 20.35 | 353 | ბრიონდბიუ-ნორდსიელანდი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 354 | ბრიონდბიუ-ნორდსიელანდი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |

## არგენტინა. აპერტურა. XVI ტური

**26 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.10 | 453 | სან ლორენსო-ხიმნასია | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 03.00 | 454 | ნიუელსი-ტალიერესი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 03.00 | 455 | კილმესი-ჩაკარიტა | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 03.00 | 456 | ბანფილდი-ნუევა ჩიკაგო | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 03.00 | 457 | კოლონი-როსარიო | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 03.00 | 458 | ესტუდიანტესი-ატლეტიკო | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 459 | არსენალი-ბოკა ხუნიორსი | 4,0 | 3,3 | 1,75 | 1,8 | 1,21 | 1,14 |
| 01.40 | 460 | ოლიმპო-ველესი | 3,3 | 3,2 | 2,0 | 1,62 | 1,24 | 1,23 |

## მექსიკა. აპერტურა

**26 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 497 | ტოლუკა-ჩივასი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03.00 | 498 | კრუს ასული-ტეკოსი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |

## უეფას თასი. II ეტაპი. II მატჩები

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 533 | ლევსკი-სლავია | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 19.15 | 534 | გროცლინი-სიტი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 20.00 | 535 | დნიპრო-დინამო(ზ) | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.00 | 536 | დებრეცენი-პაოკ | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 20.30 | 537 | ტორპედო-ვილიარელი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 21.00 | 538 | ტეპლიცე-ფეიენოორდი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 21.00 | 539 | პარმა-ზალცბურგი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 21.15 | 540 | ბრიონდბიუ-შალკე | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 21.30 | 541 | ლანსი-გაზიანთეფი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 22.00 | 542 | ცრვენა ზვეზდა-რუსენბორგი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 22.00 | 543 | დინამო(მქ)-სპარტაკი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 22.15 | 544 | არისი-პერუჯა | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| 23.00 | 545 | მოლდე-ბენფიკა | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 23.00 | 546 | ვისლა-ვოლერენგა | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.30 | 547 | ნიუკასლი-ბაზელი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.30 | 548 | ოსერი-უტრეხტი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.30 | 549 | სოშო-დორტმუნდი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 23.45 | 550 | ჰაიდუკი-რომა | 4,2 | 3,2 | 1,8 | 1,81 | 1,26 | 1,15 |
| 23.45 | 551 | ჰართსი-ბორდო | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 24.00 | 552 | ლივერპული-სტიაუა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 24.00 | 553 | მალიორკა-კოპენჰაგენი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 00.15 | 554 | ბარსელონა-პანიონიოსი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 01.00 | 555 | სპორტინგი-გენჩლერბირლიგი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

## მჩ (20 წლამდე). საამიროები

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 557 | საამიროები(20)-სლოვაკეთი(20) | 3,0 | 3,0 | 2,2 | 1,5 | 1,26 | 1,26 |

## ჰოკეი. რუსეთი

**28 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 1001 | ს.იულაევი-სიბირი | 1,35 | 5,3 | 4,8 | 1,07 | 1,05 | 2,51 |
| 18.30 | 1002 | ლადა-ნოვოკუზნეცკი | 1,5 | 5,3 | 3,6 | 1,16 | 1,05 | 2,14 |
| 19.30 | 1003 | ლოკომოტივი-აკ ბარსი | 1,8 | 4,6 | 2,7 | 1,29 | 1,08 | 1,7 |
| 19.30 | 1004 | ტორპედო-ნეფტეხიმიკი | 2,35 | 4,6 | 2,05 | 1,55 | 1,09 | 1,41 |
| 19.30 | 1005 | სევერსტალი-ავანგარდი | 2,05 | 4,6 | 2,35 | 1,41 | 1,09 | 1,55 |
| 19.30 | 1006 | აკ-ხიმიკი | 1,55 | 5,0 | 3,5 | 1,18 | 1,07 | 2,05 |

## კალათბურთი. ევროლიგა

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 1206 | კრკა-სიენა | 2,6 | 10,0 | 1,35 | 2,06 | 1 | 1,18 |
| 23.10 | 1207 | აეკ-პო ორტეზი | 1,4 | 10,0 | 2,4 | 1,22 | 1 | 1,93 |
| 23.10 | 1208 | ოლიმპიაკოსი-ეფესი | 1,65 | 10,0 | 1,95 | 1,41 | 1 | 1,63 |
| 23.40 | 1209 | ოლიმპია-ბარსელონა | 2,0 | 10,0 | 1,6 | 1,66 | 1 | 1,37 |
| 23.40 | 1210 | პარტიზანი-ციბონა | 1,3 | 10,0 | 2,8 | 1,15 | 1 | 2,18 |
| 23.40 | 1211 | სკიპერი-მაკაბი | 1,7 | 10,0 | 1,9 | 1,45 | 1 | 1,59 |
| 00.10 | 1212 | უნიკახა-ქალგირისი | 1,65 | 10,0 | 1,95 | 1,41 | 1 | 1,63 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

29.11 16.30 5601 ინგლისი პლ (XIV) .......... 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
29.11 18.30 5602 გერმანია ბლ (XIV) .......... 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
29.11 21.00 5603 იტალია A (XI) .......... 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9
29.11 20.00 5604 ესპანეთი Iდ (XIII) .......... 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
29.11 20.15 5605 საფრანგეთი Iდ (XV) .......... 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9
28.11 01.00 5606 პორტუგალია სლ (XII) .......... 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9
29.11 23.00 5607 ბელგია Iდ (XIV) .......... 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

# საქართველოს ჩემპიონატი

## ღმერთი ახსენე და რუსთავში წადი
## ბრაიკოვიჩი მორწმუნე ყოფილა

„რუსთავი" როგორც არ უნდა დაეცეს, შინაური სარბიელზე თავის თავმოყვარეობას მაინც „ზიდავს". ქვემოქართლური გუნდი ძველი „აზოტის" აჩრდილია და ბოლო დროს საკმარისზე მეტს აგებს, მაგრამ სამაგიეროდ, რუსთავში ჩასულ არც ჩემპიონს დაგიდევთ და არც ვიცე-ჩემპიონს, „ქიმიკოსთა" დარბაზში ფავორიტი მხოლოდ მასპინძელია.

გუშინ რუსთაველებმა ისე ანერვიულეს ჩემპიონები, რომ დინამოელთა ხორვატი მოძღვარი დრაჟენ ბრაიკოვიჩი მატჩის შემდეგ პირჯვარს იწერდა, ღმერთმა გადაგვარჩინაო. ისიც გვახსოვს, გაზაფხულზე ამავე დარბაზში წაგების შემდეგ როგორ შლიდა ხელებს ბრაიკოვიჩი, არჩილ ჟღენტი გუნდში გვყავდა და „რუსთავში" როგორ გაუშვესო. გუშინ ხორვატს ჟღენტიც ჰყავდა და სხვა რჩეული ბიჭებიც, მაგრამ „რუსთავთან" მაინც გაუჭირდა, ცოტაც და, წააგებდა.

ბოლო მეოთხედამდე თბილისელები თითქმის ყველაფერში ჯობდნენ რუსთაველებს, ზონაში დგომა იქნებოდა, პოზიციური შეტევა თუ სწრაფი კონტრშეტევები. მასპინძელმა რევაზ ჩხეიძემ პირველ წუთზე ის იყო ანგარიში გახსნა და დინამოელებიც აბობოქრდნენ, ორწუთეული 11:0 მოიგეს და კარგა ხანი მეტოქე სათოფეზე აღარ გაიკარეს.

„დინამოს" ყოჩაღი დაცვის ხარჯზე ულხინდა. თბილისთელთა ზონა თითქმის გაუვალი იყო და მასპინძლები შორიდან ცდილობდნენ ქულების შეკოწიწებას. რაკი სამწამიანში ვერ შედიოდა, მეფარე ირაკლი ჯაფარიძე ცდილობდა, შორიდან ეხეირა, მაგრამ ვინ მოთვლის, რამდენი სროლა გააცუდა.

„დინამოც" ჩასაფრებული იყო, ტულუში, ბეჟანიშვილი და მინაშვილი სწრაფი კონტრშეტევებით მალიმალ ზრდიდნენ თბილისელთა უპირატესობას.

ასეთი თამაში მიდიოდა ბოლო ათწუთეულამდე, იქ კი ყველაფერი თავდაყირა დააყენეს მასპინძლებმა.

ბოლო მეოთხედში ამბები დატრიალდა, რუსთაველთა მოწონებული. ქვემოქართლელებმა ეს მატჩი კი წააგეს, მაგრამ ისიც სალაპარაკოდ ექნებათ, ბოლო მეოთხედში 18 ქულით ჩამორჩენილებმა ანგარიში რომ გაათანაბრეს და ბოლო წამებზეც მეტოქეზე არანაკლები შანსი ჰქონდათ გასამარჯვებლად.

ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა გოგობერიშვილმა ორქულიანს საჯარიმოც მიაყოლა და დასასრულამდე 7 წუთით ადრე „დინამოს" უპირატესობა 8 ქულამდე შეკვეცა. დარბაზი გამოცოცხლდა, ყიჟინამ დათრგუნა თბილისელები. მალე სხვაობა 6 ქულამდე შემცირდა, სიტუაცია ისე დაიძაბა, დაცვაში დაჯარიმებულ იური დანელიანს რუსთაველთა თავკაცი ოთარ ხმელიძე გამოექომაგა, მოედანზე შევარდა და ფიბა-ს არბიტრ ზაზა მაჩალაძეს უმტკიცებდა, მაგრად შეცდიო.

ვითარება თითქოს განიმუხტა, როცა მინაშვილის სროლის შემდეგ თბილისელები 12 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ რუსთაველები თვალის დახამხამებაში 4 ქულით მიეჭრნენ თბილისელებს. აქ კი იჩქარა ჯაფარიძემ, როცა სირენამდე 2 წუთით ადრე სამქულიანი გააცუდა. სტუმარ ბეჟანიშვილს შეეძლო საბოლოოდ გაეტეხა მასპინძლები, მაგრამ ორივე საჯარიმო ააცილა. შემდეგ გოგობერიშვილი ორამდე ამცირებს ანგარიშს და რუსთაველები საპასუხო შეტევაზე წამოსულ დინამოელებს 24 წამის წესს არღვევინებენ. ბოლო წუთი დაიწყო და ჩხეიძემ ანგარიში გათანაბრა — 89:89. გამოცდილი ირაკლი ხოშტარია ისევ აწინაურებს ჩემპიონებს, მაგრამ არანაკლებ ფხიანი გოგობერიშვილი „ხოშტარას" ჯარიმას ჰკიდებს და სირენამდე 13 წამით ადრე საჯარიმო ხაზზე დგება... პირველ ტყორცნა ზუსტია და თითქოს ოვერტაიმიც გარდაუვალი ჩანს, მაგრამ რამაზი მეორეს აცუდებს და იმასღა ახერხებს, სადაო გდების უფლება მოიპოვოს. შედარებით ტანმორჩილ გოგობერიშვილს ტანმაღალი ჩუბინიძე უგებს ორთაბრძოლას და...

ბრაიკოვიჩი მორწმუნე ყოფილა.

**ირაკლი პერტაია**

**26 ნოემბერი. რუსთავი**

**რუსთავი 90:91 დინამო**

12:27, 24:24, 25:26, 29:14

**რუსთავი:** არწივიძე (11), გოგობერიშვილი (23), ჩხეიძე (9), ტყეშელაშვილი, ჯაფარიძე (23); ბერუაშვილი (17), ჩაჩუა (3), გაბისონია (2), დანელიანი (2), ჯიმშელეიშვილი
**დინამო:** ტულუში (4), ხოშტარია (4), ბეჟანიშვილი (22), ჩუბინიძე (16), მინაშვილი (23); ჟღენტი (12), ლოსაბერიძე (8), კუიდია (2), გამყრელიძე
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
**კომისარი:** მურმან ქურიძე

**26 ნოემბერი. ვერის პარკი**

**სსუ 62:87 თსუ**

17:27, 14:22, 11:17, 20:21

**სსუ:** ერქვანია (17), აბულაძე (19), სორდია (20), პატარაია, კანკია, ზანგურაშვილი (2), ფარლალავა (2), ლუკავა, მიქაბერიძე (2)
**თსუ:** ლეჟავა, მაისურაძე (3), ფანჩულიძე (7), თორთლაძე (13), მარხვაშვილი (2), ვეფხვაძე, კილაძე (9), შენგელია (16), სანიკიძე, ორმოცაძე (4), კოკოლიშვილი (12), ნაცვლიშვილი (21)
**მსაჯები:** ლიკა ქაჯაია, ზაზა ლოლიშვილი
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## ამასაც მოვესწარით...
## დენვერმა დევის თავი გამოიჭა

— 25 ნოემბერი —

**დენვერი 110:80 ფინიქსი**
**დენვერი:** მილერი (10), ლენარდი (16), ენტონი (17), ელსონი (16 ქულა, 10 მოხსნა), კემბი (5 ქულა, 10 მოხსნა); ბოიკინსი (15), ვაიტი (15), ბერი (12), *ცქიტიშვილი* (6 წუთი, 4 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება), ბოუენი, ანდერსენი
**ფინიქსი:** მარბერი (20 ქულა, 12 პასი), ჯონსონი (10), მარიონი, სტუდემაიერი (25 ქულა, 13 მოხსნა), უილიამსი (1); ვოსკული (8), ჩაბარკაპა (5), ჯეკობსენი (4), ვაიტი (3), ჰარდევეი (2), ბარბოსა (2), გულიოტა

**პორტლენდი 80:81 ვაშინგტონი**
**პორტლენდი:** სტუდემაიერი (14), მაკინისი (19), ვოლესი (3), რენდოლფი (24 ქულა, 15 მოხსნა), დევისი (8); ველსი (5), ვუდსი (4), პატერსონი (3), *სტეფანია* (7 წუთი, 0 ქულა)
**ვაშინგტონი:** ვიტნი (8), ჰიუზი (22), ბრაუნი (10), ლეიტნერი (6), ჰეივუდი (4); ტომასი (12), ჰეიესი (6), ჯეფრისი (5), ნაითი (4), დიქსონი (4)

**სიეტლი 70:93 ნიუ ჯერსი**
**სიეტლი:** ლუისი (14)
**ნიუ ჯერსი:** მარტინი (27 ქულა, 14 მოხსნა), ჯეფერსონი (18), კიდი (13 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი)

**ინდიანა 98:75 მინესოტა**
**ინდიანა:** არტესტი (20), ონილი (17 ქულა, 9 მოხსნა, 6 დაფარება, 5 პასი)
**მინესოტა:** გარნეტი (25 ქულა, 16 მოხსნა), კასელი (25)

**დალასი 124:98 ჩიკაგო**
**დალასი:** ფინლი (28), ნოვიცკი (19)
**ჩიკაგო:** ჩანდლერი (17)

**მილუოკი 95:91 ფილადელფია**
**მილუოკი:** რედი (26), სმიტი (16)
**ფილადელფია:** აივერსონი (28)

**საკრამენტო 109:89 მემფისი**
**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (26), ბიბი (16)
**მემფისი:** გასოლი (21 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი)

**მაიამი 91:87 ნიუ ორლეანი**
**მაიამი:** ჯონსი (25), ოდომი (19)
**ნიუ ორლეანი:** დევისი (28 ქულა, 10 პასი), ვესლი (22)

„დენვერ ნაგიტსი" აღარ იცნობა. შარშანდელმა მაჩანჩალამ პირველ თამაშებშივე აკრიფა გამარჯვებები და ბობოქარ დასავლეთში პატივსაცემ მეექვსე ადგილს „კაციჭამია" „სან ანტონიოსა" და „მინესოტას" ეცილება.

მართალია, ნდობადაკარგულ დენვერულ პუბლიკას „ნაგიტსისგან" შანშანწინდელი და იმისწინდელი წყენაც ახსოვს და მხოლოდ ორი მესამედით თუ ავსებს „პეპსი სენთერს", მაგრამ „ნაგიტსის" მთავრობა ამაზე ნაკლებად წუხს, მთავარია, მკვდარი წერტილიდან დავიძარით და ჩვენი ახალგაზრდული და მოძრავი გუნდი ამ პრობლემას მალე მოგვიგვარებსო.

წინა სეზონში „დენვერს" ქულების კეთება უჭირდა, ახლა კი შეტევა მარაოსავით გაშალა. ერთიანად განახლებულ დამწყებ ხუთეულში ძველებიდან ბრაზილიელი ნენელა შემორჩა და ახლა „დენვერს" ტრავმის გამო ისიც აკლდა. ამის მიუხედავადაც, ამ ბოლო თამაშში ერთბაშად შვიდმა დენვერელმა მოიხვეჭა 10 და მეტი ქულა, ხოლო „ნაგიტსმა" — ამასაც მოვესწარით — 30 ქულით დაიბრიყვა საშუალოწონოსანი „ფინიქს სანზი".

„ჩვენ ვიზრდებით, როგორც გუნდი — ჯეფ ბზდელიკს აქვს წინსვლაზე საუბრის მორალური უფლება — ჩვენ ვგრძნობთ, როგორ უნდა ვითამაშოთ. კალათბურთი ჩვენთვის იოლი და სასიამოვნო ხდება."

„დენვერი" რომ საკრივო მსხალი აღარაა, ამას სულ უფრო მეტი აცნობიერებს. „მათ დღეს ბოლო მოგვიღეს — ჩივის „ფინიქსის" გამთამაშებელი სტივენ მარბერი — ხელი არ გაგვანძრევინეს."

თავიდან კი ანძრევდა ხელს „ფინიქსი", სტუმრებმა საწყისი მეოთხედი ერთი ქულით წააგეს და არც პირველ ტაიმის შვიდი ქულით დათმობის შემდეგ გრძნობდნენ ხანძრის სუნს, მაგრამ დაიწყო მესამე 12-წუთეული და დასაბმელები გახდნენ მასპინძლები. ყველაზე უფრო მსროლელი ვოშონ ლენარდი გადაირია და თავი 16 ქულიდან 12 ამ მონაკვეთში მოაგროვა. მისი ყოჩობით „დენვერმა" მეოთხედი 30:19 მოიგო და ბოლო მეოთხედში საბოლოოდ მოუთავა ხელი რეტდასხმულ მეტოქეს.

რაც შეეხება ნიკა ცქიტიშვილს, ქართველმა თავისიანთა მორიგ გამარჯვებაში ტრადიციულად სტატისტის როლი შეასრულა — ოთხი ქულა ექვს წუთში.

სამშაბათს წააგო მეორე ქართველის ვოვა სტეფანიას „პორტლენდმა". შვიდ წუთში ვოვას ანგარიშზეა 0 ქულა, 0 მოხსნა, 0 პასი და ა.შ.

ალონზო მურნინგის სამუდამოდ დაკარგვის შემდეგ „ნიუ ჯერსი ნეთსმა" საკუთარი თამაში იპოვა და წამოჩიტული „სიეტლ სუპერსონიქსი" მისსავე ტერიტორიაზე აოტნა. ამით „ნეთსმა" ოდნავ გამოიკეთა სატურნირო ბალანსი. თუმც ეს ბალანსი ჯერაც უარყოფითია — წაგებები მოგებებს სჭარბობს.

ასეა ატლანტიკის ლიდერ „ფილადელფიას" საქმეც. 2002 და 03 წლების ვიცე-ჩემპიონ „ნეთსის" დარად, 2001 წლის ფინალისტი „სიქსერზიც" ვერ გამოიყურება თანამდებობისდა შესაფერისად. მართალია, კვლავ რჩება დივიზიონის ლიდერად, მაგრამ მის შედეგთა მწკრივში გამარჯვებები როდი ყვირიან. შვიდი მოგებითა და რვა მარცხით „ფილადელფიას" დასავლეთში მხოლოდ მე-11 ადგილი თუ შეხვდებოდა.

აღმოსავლეთი მაინც არაა მთლად ჯაბანი და თუნდაც „ინდიანათი" მოიწონებს თავს. „პეისერზის" ახალი მთავრობა თავის საქმეს აკეთებს — ლარი ბერდმა და რიკ კარლაილმა „მარდებს" 14 თამაშიდან 12 მოაგებინეს და სადღეისოდ ლიგაში საუკეთესო მაჩვენებლითაც დაიტრაბახებენ. გუშინწინ „ინდიანამ" ზედიზედ მეექვსედ იმარჯვა — მორიგი დასავლელი „მინესოტა ტიმბერვულვზი" შემუსრა. ინდიანელებმა ყურებზე ხახვი ვერ დააჭრეს „მგლების" ხროვის წინამძღოლ კევინ გარნეტს. სამაგიეროდ, მეორე „მგელ" ლატრელ სპრიუელს ყურებიც დააჭრეს და კუდიც. დაუდეგარ ლატრელს არანაკლებ გადარეული, მაგრამ ასაკით ნაკლებდამძიმებული რონ არტესტი დაუდგა და საერთოდ ამოაგდო თამაშიდან. სპრიუელმა 38 წუთი სულ ტყუილად ირბინა, 8 სროლიდან ყველა ააცილა და თამაში უქულოდ დაამთავრა.

„ჩიკაგომ" ისევ წააგო და არცთუ მოულოდნელად — „ხარებს" „დალასისთვის" რომ მოეგოთ, საოცრება ეს იქნებოდა. „დალასმა", რა თქმა უნდა, თავისი გაიტანა და 26 ქულით იმარჯვა. „ხარების" ახალი მწვრთნი პიტ მაიერსი თავისთავად უკეთეს დებიუტს ისურვებდა, მაგრამ რას იზამს, როცა მისი შეგირდების რქებსზევით ძალა არაა.

ხომ მოუგეს და დალასელებმა კაციც გაულახეს მაიერსს, თან რა კაცი, ძველი ძმაკაცი სკოტი პიპენი. დალასელები არც სკოტის ავტორიტეტს მოერიდნენ, ფარქვეშ ჯაჯგურში რომელიღაცამ იდაყვი ისე ხეთქა სახეში, ბებერი „ხარი" მოცელილი დაეცა და რამდენიმე წუთი ვერ მოსულიერდა.

**ძოტე ყორშია**




აღარც რიდი, აღარც ავტორიტეტი... ბებერ ჩიკაგოელს სკოტი პიპენს დალასელებმა სახეში ისეთი ხეთქეს, მეგობრებმა ძლივს წამოაყენეს

**აღმოსავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ფილადელფია | 7 | 8 | 46,7 |
| ნიუ ჯერსი | 6 | 7 | 46,2 |
| ვაშინგტონი | 6 | 8 | 42,9 |
| ბოსტონი | 5 | 8 | 38,5 |
| ნიუ იორკი | 5 | 9 | 35,7 |
| მაიამი | 4 | 11 | 26,7 |
| ორლანდო | 1 | 13 | 7,1 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 12 | 2 | 85,7 |
| დეტროიტი | 10 | 5 | 66,7 |
| ნიუ ორლეანი | 10 | 5 | 66,7 |
| მილუოკი | 7 | 7 | 50,0 |
| ტორონტო | 6 | 7 | 46,2 |
| ატლანტა | 5 | 10 | 33,3 |
| კლივლენდი | 4 | 10 | 28,6 |
| ჩიკაგო | 4 | 11 | 26,7 |

**დასავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთი** | | | |
| დალასი | 10 | 4 | 71,4 |
| ჰიუსტონი | 8 | 4 | 66,7 |
| დენვერი | 8 | 6 | 57,1 |
| სან ანტონიო | 8 | 6 | 57,1 |
| მინესოტა | 8 | 6 | 57,1 |
| იუტა | 7 | 6 | 53,8 |
| მემფისი | 6 | 7 | 46,2 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 11 | 3 | 78,6 |
| საკრამენტო | 10 | 4 | 71,4 |
| სიეტლი | 7 | 5 | 58,3 |
| პორტლენდი | 7 | 7 | 50,0 |
| გოლდენ სტეიტი | 6 | 7 | 46,2 |
| ფინიქსი | 6 | 7 | 46,2 |
| კლიპერსი | 4 | 5 | 44,4 |



ტანმოვარჯიშე



ძიუდო



ტროას ცხენი



ოლიმპიზმი — მარადიული სურნელი



ოლიმპიური პა

# ხუთი რგოლის ხუთი სახე

## ქართველებმა ლოზანაში ტროას ცხენი გაგზავნეს

*სპორტი და ოლიმპიზმი ქართულ სახვით ხელოვნებაში ძალზე პოპულარული თემაა. ამაში ხშირად ვრწმუნდებით, როცა სხვადასხვა გამოფენებზე ქართველ შემოქმედთა ნამუშევრებს ვეცნობით და უცხოეთში გამართული კონკურსებიდან მათი წარმატებათა ამბავიც ჩამოდის*

ქართველმა მხატვრებმა ლოზანში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ მოწყობილ გამოფენა-კონკურსზე — „სპორტი და მხატვრობა“ — მონაწილეობა პირველად 2000 წელს მიიღეს. მაშინ ისინი ამ გამოფენაზე წარმოდგენილნი იყვნენ ცინარა ტერელაძის გრაფიკული ნამუშევრით — „ცხენბურთი“ და მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძის „ბეისბოლით“, რომელმაც ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ლევან ვარდოსანიძე მონაწილეობდა საქართველოს პირველი ოლიმპიური ფესტივალის პროგრამით მოწყობილ გამოფენა-კონკურსშიც, რომელიც თბილისში ხელოვნების მუზეუმში გაიმართა. მაშინ გამოფენის გახსნაზე სიტყვით გამოვიდა ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი მარიო პესკანტე. გამოფენის გახსნას დაესწრნენ აგრეთვე ამავე ორგანიზაციის გენერალური მდივანი პატრიკ ჰიკი და ფესტივალზე სტუმრად მყოფი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელები, რომლებიც ქართველი შემოქმედის ნამუშევრებით აღფრთოვანებულნი დარჩნენ.

ამ გამოფენაზე საგაისოდ სოკ-ის კონკურსისთვის უნდა შერჩეულიყო თითო გრაფიკული ნამუშევარი და ქანდაკება, მაგრამ ჟიურის ეს მეტად გაუჭირდა. საქმე ის იყო, რომ თერთმეტმა სკულპტორმა ერთმანეთზე უკეთესი ნამუშევარი წარმოადგინა. ბოლოს შეირჩა ხუთი ავტორის ქანდაკება — ლევან ვარდოსანიძის „ძიუდო“, გენადი ზაქარაიას „ტროას ცხენი“, რევაზ ხასაიას „ოლიმპიზმი — მარადიული სურნელი“, გია ჯაფარიძის „მხატვრული ტანმოვარჯიშე“ და ვიტალი ჩერქეზიშვილის „ოლიმპიური პა“. საბოლოო ვერდიქტის გამოტანა კი ქართველებმა სოკ-ის ჟიურის მიანდეს.

რაც შეეხება გრაფიკას, აქ წარმოდგენილი იყო ხუთი ნამუშევარი, მაგრამ ჟიურიმ სოკ-ის კონკურსში მონაწილეობის პატივი არც ერთს არ არგუნა.

ასე იყო თუ ისე, ლოზანისკენ „ბეისბოლით“ გაკვალულ გზას ახლა ხუთი ქანდაკება გაუყვა და იმედია იქიდან რომელიღაცა მედლით დაგვიბრუნდება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# ფორმულამ გამოიღვიძა

## ბარში ბრიჯები გაიხადეს

*2003 წლის დაძაბულ-დამღლელი ჩემპიონატის შემდეგ ჩამომდგარი თვენახევრიანი დუმილი დაირღვა – მეფორმულეები საგაისო მზადებას შეუდგნენ. ათ დეკემბრამდე სამი სამდღიანი სატესტო ციკლია დაგეგმილი ესპანეთის „თბილ“ ტრეკებზე*

ბარსელონის „კატალუნია მონტმელოზე“ სამ საჯინიბო ვარჯიშობს, მათ შორის ბოლო ოთხი წლის ტრიუმფატორი „სკუდერია ფერარი“. ოღონდ სისხლისფერი ბედაურებით დაჯირითობენ ტესტპილოტები — ლუკა ბადოერი, ლუჩანო ბურტი და ფელიპე მასა, რომელიც 2004 წელს „ზაუბერში“ იბრძოლებს. მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო ჯერ კვლავ შვებულებაში არიან. მიხაელს, მისივე თქმით, კი მოსწყინდა უქმად ყოფნა, მაგრამ იანვრამდე მაინც არ მიუჯდება საჭეს, რათა ახალ სეზონს „მოშიებული“ შეხვდეს.

ფერარელები ბარსელონაში ცდიან წლევანდელი საჩემპიონო ბოლიდის (F2003-GA) მოდერნიზებულ ვარიანტს განახლებული შასით, ძრავით, ელექტრონიკით და „ბრიჯსტოუნის“ ახალი საბურავებით. გარდა ამისა, მარანელოს ფაბრიკაში პარალელურად ახალთახალ F2004-ზეც მუშაობენ. ერთი სიტყვით, თუ დამდეგი სეზონის სტარტზე სახლეში პრობლემები შეექმნებათ, სწორედ იმ მოდერნიზებულ F2003B-ს გამოიყენებენ, თუმც ჩემპიონატის დაწყებას, წლევანდელისგან განსხვავებით, მაინც ახალი მანქანით გეგმავენ.

ბადოერმა 76-ჯერ შემოუქროლა 4,727-კილომეტრიან წრეს და საუკეთესო შედეგიც აჩვენა — 1 წთ, 17,799 წამი. მასა მას სამი მეათედი წამით ჩამორჩა, მესამე დრო კი „ჯორდანიდან“ „ზაუბერში“ გადაბარგებულ იტალიელ ჯანკარლო ფიზიკელას ჰქონდა, თანამემამულე ლუკაზე 0,7 წამით უარესი. „ფიზიკომ“ ყველაზე მეტი, 420 კმ გაიარა და თავისი ახალი ბედაურით დიდად კმაყოფილიც დარჩა: „შედეგი მშვენიერია. თითქმის ასი წრის გავლა შევძელი, რაც „კატალუნიისთვის“ საკმაოდ ბევრია. თავიდან მანქანის გაწყობაში პრობლემები მქონდა, მაგრამ მალე ყველაფერი გამოვასწორეთ. რაც მთავარია, ძალიან მომწონს ის თბილი და პროფესიული ატმოსფერო, რომელიც „ზაუბერში“ სუფევს და წარმატების იმედიც მაქვს“.

ბარ-საც ძირითადი მძღოლები წარმოადგენენ — ბრიტანელი ჯენსონ ბატონი და იაპონელი ტაკუმა სატო, რომელიც გუნდში 1997 წლის ჩემპიონ ჟაკ ვილნევის ნაცვლად მიიწვიეს.

ბარ-ელებში ტექნიკურთან ერთად სხვა, უფრო მნიშვნელოვანი სიახლეცაა: საჯინიბოს ბოსებმა „ბრიჯსტოუნთან“ თანამშრომლობა გაწყვიტეს და იაპონურს ფრანგული „მიშლენის“ საბურავები ამჯობინეს, რაკი, მათი აზრით, ბრიჯელები გამორჩეული მუყაითობით მხოლოდ მთავარ პარტნიორ „ფერარისთვის“ მუშაობენ, თანაც იქით უხდიან ფულს, ოღონდ „წითელმა ულაყებმა“ მათი „ნალები“ ატარონ. ბარ-ი „მიშლენის“ მეექვსე კლიენტი გახდა, „ბრიჯსტოუნს“ კი მხოლოდ ოთხიღა შერჩა.

ბატონის მანქანას თავიდანვე გაუჩნდა პრობლემები, რის გამოც მხოლოდ ხუთი წრე გაიარა, სატოს მონაგარი ოდნავ უკეთესია — 45 წრე და მეოთხე შედეგი.

ხუთმა გუნდმა კი ვალენსიას მიაშურა. პირველ დღეს გამორჩეულად იყოჩალა „უილიამსმა“, რომლის პილოტებმა წლევანდელი ჩემპიონატის „ბრინჯაოს“ პრიზიორ ხუან-პაბლო მონტოიას თამადობით სამი საუკეთესო შედეგი აჩვენეს, ამასთან კოლუმბიელმა ტრასის ახალი რეკორდიც დაამყარა — 1 წუთი, 10,081 წამი. ხუანი და რალფ შუმახერი ახალ კონსტრუქციულ ელემენტებს ცდიდნენ. ხოლო სათადარიგო მძღოლი მარკ ჟენე ბმვ-ს ძრავის 2004 წლის ვარიანტს ამოწმებდა.

ისე, ვალენსიაში უფრო მაკლარენელები იყვნენ ყურადღების ცენტრში. „ვერცხლისფერმა ისრებმა“ რიკარდო ტორმოს სახელობის ავტოდრომზე გამოაგელვეს ყოველმხრივ ახალი „მაკლარენ MP4-19“, რომლის ჯერჯერობით ერთადერთი ეგზემპლარი არსებობს და რომელსაც შოტლანდიელი დევიდ კულჰარდი მართავდა. ამრიგად, რონ დენისის გუნდი გახდა პირველი, ვინც 2004 წლის მოდელის ტესტირებას შეუდგა. მართალია, მანქანა რამდენჯერმე გაჩერდა „მერსედესის“ ძრავის მიზეზით, მაგრამ ეს ჩვეულებრივ, „საყმაწვილო სენად“ ჩათვალეს, რაც მთავარია, ბოლიდში უზარმაზარი პოტენციალი იგრძნობა და ბევრად სჯობს შარშანდელ, გარდამავალ MP4-17D-ს, რომლითაც კიმი რაიკონენმა ვიცეჩემპიონობა მოიპოვაო. „ვერცხლისფერების“ ტესტ-დრაივერმა ალექს ვურცმა კი სწორედ იმ გარდამავალი მოდელით 53 წრე გაიქროლა და მეოთხე დრო აჩვენა, კულჰარდზე 0,7 წამით უკეთესი.



ხუან-პაბლო მონტოიამ „რიკარდო ტორმოს“ რეკორდით დაიწყო

**გია ახალაძე**




ახალთახალი, ევოლუციური „მაკლარენი“ ვალენსიაში

# მოკრივეებს გაზაფხულზე დაველით

*მოყვარულ მოკრივეთა საერთაშორისო ფედერაციამ (AIBA) ის ხუთი ევროპული ტურნირი დაასახელა, რომლებზეც გაისად ათენის ოლიმპიადის საგზურები გათამაშდება. სეზონი 19 თებერვალს ხორვატიაში, ევროპის ჩემპიონატით გაიხსნება. 29 მარტიდან 5 აპრილამდე სალიცენზიო პირველობებს პლოვდივი და ვარშავა უმასპინძლებენ. 19-26 აპრილს კი ბოლო შანსის გამოყენების იმედად დარჩენილი მოკრივეები ბაქოსა და გეტებორგში ცდიან ბედს. საქართველოს ნაკრების სამომავლო გეგმების თაობაზე ფედერაციის გენერალურ მდივან ზურაბ კიკნაველიძეს გავესაუბრეთ*

— უკვე ცნობილია ის ხუთი ქალაქი, სადაც ლიცენზიები გათამაშდება. თუ არის გადაწყვეტილი, საქართველო რამდენზე გამოვა?

— ამას პასუხს ევროპის ჩემპიონატი გასცემს. ხორვატიაში 8 სპორტსმენით დაკომპლექტებული გუნდი წავა და მათი შედეგების მიხედვით გადავწყვეტთ, შემდეგ რომელ ტურნირებში მივიღებთ მონაწილეობას და რა წონებში. იმედია, პირველ ლიცენზიებს ევროპაზევე ავიღებთ.

**— ამისათვის რა შედეგი იქნება საჭირო?**

— ხორვატიაში ათენის საგზურს ნახევარფინალში გასული ყველა მოკრივე მიიღებს. დანარჩენ ტურნირებზე კი პირველ-მეორე ადგილზე გასვლა იქნება საჭირო.

**— რამდენ ლიცენზიას ელოდებით?**

— ეს პირველ რიგში იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად ნაყოფიერად შევძლებთ მოსამზადებელი პერიოდის გამოყენებას. ნაკრები თითქმის მთლიანად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული და მათგან დამაკმაყოფილებელ შედეგად 3 ლიცენზიას მივიჩნევთ, თუმცა იქნებ მეტიც შევძლოთ.

**— მაშასადამე ნაკრები უკვე დაკომპლექტებულია?**

— ძირითადად კი, მაგრამ საბოლოო შემადგენლობის დასახელებას ჯერ არ ვაპირებთ. დეკემბრის მეორე ნახევარში სპეციალურ ტურნირს ჩავატარებთ, რომელზეც თითოეულ წონაში ოთხ-ოთხი საუკეთესო მოკრივე შეიკრიბება და უძლიერესის ვინაობას ურთიერთშეხვედრებში გაარკვევენ.

**— ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გასამართი ოთხი სალიცენზიო ტურნირიდან ორ-ორი ერთმანეთს ემთხვევა. რატომ?**

— საერთაშორისო ფედერაციამ შეგნებულად მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. ამ ოთხი ტურნირიდან გუნდებს არც ერთზე არ შეეძლებათ სრული შემადგენლობით გამოსვლა, რადგან პარალელურად მიმდინარე პირველობებზე წონებიც გადანაწილდება. 29 მარტიდან 5 აპრილამდე პლოვდივში 6 წონა იასპარეზებს, ვარშავაში კი — ხუთი. იგივე მოხდება ბაქოსა და გეტებორგშიც.

**— როგორ შეაფასებდით იმას, რომ ლიცენზიების გათამაშება დროის ასე მცირე მონაკვეთში ხდება? ეს საქართველოსთვის უკეთესი ხომ არ არის?**

— ალბათ ასეცაა, წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატზე საერთოდ ვერ მოვახერხეთ გუნდის გაშვება, რადგან ჩემპიონატი ბანგკოკში გაიმართა და იქ გამგზავრება იმხელა ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ლიცენზიებიც რომ გათამაშებულიყო, მანიც უქართველებოდ ჩაივლიდა.

**— უკვე ნახსენები ოთხი ტურნირიდან ევროპის ჩემპიონატამდე ორთვიანი მონაკვეთია. ამ პერიოდში თუ შეიკრიბება ნაკრები?**

— რა თქმა უნდა, სასურველია და ალბათ ასეც იქნება, თუმც საჭირო თანხა ჯერ არ გამოძებნილა. ამიტომ წინასაევროპო მომზადებაზე საუბარი ცოტა ძნელია.

**ოთარ მაღლაკელიძე**



NHL

### რეგულარული ჩემპიონატი

# მენავთობეს ცეცხლი დასჭირდა

— 25 ნოემბერი —

**კოლუმბუსი 3:3 ედმონტონი**

*2:0 1:1 0:2 0:0*

**1:0 მელოტრა (3), 2:0 სენდერსონი (19), 2:1 ჰემსკი (24), 3:1 ლეტოვსკი (32), 3:3 ისბისტერი (46), 3:3 დვორჟაკი (54)**

ამ შაბათს ღია ცის ქვეშ თამაშით გათოშილი „ედმონტონი" დღემდე ვერ გალღვა. „კოლუმბუსთან" პირველ პერიოდში აშკარად „მენავთობეები" რობოტებივით მოძრაობდნენ. მერე, იცოცხლეთ, გახურდნენ და მატჩიც გადაარჩინეს. „საშინლად დავიწყეთ თამაში, ალბათ სეზონში ყველაზე ცუდად. მადლობა უფალს, მეორე პერიოდში ავმოძრავდით" — გულახდილად თქვა „ედმონტონის" თავკაცმა კრეიგ მაკტავიშმა.

**მონრეალი 2:5 ვანკუვერი**

*1:1 0:1 1:3*

**0:1 კინი (7), 1:1 ზედნიკი (11), 1:2 ნესლუნდი (15), 1:3 ბერტუცი (44), 1:4 კინგი (47), 2:4 სუნდსტრიომი (53), 2:5 ნესლუნდი (54)**

პარადოქსია, მაგრამ იმ გრანდიოზულ შოუში გამარჯვებული „მონრეალი" კიდევ უფრო გაყინულა. კანადელებს ვერც ორდღიანმა პაუზამ უშველა და ვერც საკუთარ ყინულზე დაბრუნებამ.

**ტამპა 0:2 რეინჯერსი**

*0:2 0:0 0:0*

**0:1 მესიე (17), 0:2 ორტმაიერი (19)**

**ატლანტა 3:6 ოტავა**

*1:0 2:3 0:3*

**1:0 სავარი (1), 2:0 კოვალჩუკი (21), 3:0 კოზლოვი (25), 3:1 რედენი (25), 3:2 ჩარა(?)სჩასლივი (33), 3:3 უაიტი (35), 3:4 რედენი (41), 3:5 ბონკი (43), 3:6 შეფერი (56)**

**სენტ ლუისი 4:3 ბოსტონი**

*0:0 2:1 1:2 1:0*

**0:1 ლაპოინტი (23), 1:1 დემიტრა (25), 2:1 რაიკროფტი (31), 2:2 ტორნტონი (42), 2:3 ბოინტონი (50), 3:3 ტკაჩუკი (60), 4:3 უეიტი (65)**

დუგ უეიტმა ორჯერ იხსნა თავისი გუნდი. პირველად ეს ძირითადი დროის მიწურულს მოხდა, როდესაც მასზე გაცილებით ახალგაზრდა ბოსტონელ სერგეი სამსონოვს ცარიელ კარში უნდა გაეტანა, მაგრამ მიუსწრო და ხელი შეუშალა. ამას „სენტ ლუისის" შეტევა მოჰყვა და კეიტ ტკაჩუკმა მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. დამატებით დროში კი უეიტმა თავად გაიტანა. საინტერესოა, რომ სამსონოვმა მანამდე კიდევ ერთი ურეალურესი შანსი დაკარგა. ოღონდ ამ შემთხვევაში რუსი სენტლუისელთა მეკარე კრის ოსგუდმა გააწბილა.

**ლოს ანჯელესი 0:4 ნიუ ჯერსი**

*0:1 0:2 0:1*

**0:1 მედენი (19), 0:2 ბრილინი (21), 0:3 ნიდერმაიერი (40), 0:4 ელიაში (57)**

„ნიუ ჯერსი" ვერც დამქანცველმა ფრენამ გატეხა და ვერც მეტოქის მოულოდნელმა ილეთებმა. „ეშმაკებმა" სრულად გააკონტროლეს მოვლენები. ხოლო როცა მეტოქის თავკაცმა მატჩის დასრულებამდე ხუთნახევარი წუთით (!) ადრე მეკარე მეექვსე მოთამაშეზე შეცვალა, სტუმრებმა კიდევ გაიტანეს და საბოლოოდ დაასამარეს „ლოს ანჯელესის" იმედები.

**სამველ ლარიბიანი**




**„მონრეალის" მეკარე ჟოზე თეოდორმა ეს შაიბა კი დაიჭირა, მაგრამ სხვები ბლომად გაუშვა**

# ქალი ეძებეთ, ქალი!

## ჰოკეისტმა კულტურისტი ჩოგბურთელზე გაცვალა და მოხვდა კიდეც

**ზიგმუნდ პალფი** შარში გაეხვია. იგი პოლიციაში გამოიძახეს, რადგან მავანმა ქალბატონმა განაცხადა, ხელი აწია ჩემზეო. მერე აღმოჩნდა, რომ მანდილოსანი სერიოზულად არ დაზიანებულა და პალფი დაკითხვის შემდეგ შინ გაუშვეს.

პალფის გუნდიც „ლოს ანჯელესიც" შეეცადა საქმის ჩაფარცხვას, აბა, მთავარ მეგოლეს ხომ არ გაწირავდა. მით უმეტეს, რომ ორი ლიდერი ტრავმის გამო ისედაც აკლია. დაზარალებულმაც თავი აარიდა სასამართლოს, სარჩელი აღარ შეიტანა. ასე რომ, თითქოს ყველაფერი ჩაწყნარდა.

მაგრამ პალფის სამშობლოში ამ ფაქტს ბოლომდე ჩაეძიენ და იქაურმა გამოცემა „სპორტმა" ჟურნალისტური გამოძიების შედეგად ერთობ პიკანტური დეტალები აღმოაჩინა. დაზარალებული ქალბატონი ჰოკეისტის სატრფო, 36 წლის ზორა ჩობოროვა აღმოჩნდა. წარსულში ბოდიბილდინგის ევროპის ჩემპიონატების არაერთგზის პრიზიორი დღემდე აქტიურად მისდევს სპორტის ამ სახეობას. ხვდებით ალბათ, ძალა რომ ერჩის. ჰოდა, იმ ინციდენტში მარტო ჩობოროვას კი არა, პალფისაც მოხვედრია. მიზეზი ერთობ ბანალურია — ეჭვიანობა. ქალი იმას შეუწუხებია, რომ მასზე 5 წლით უმცროს მეგობარს თვალი ახალგაზრდებისკენ გაურბის. დაზვერვის შედეგად დამნაშავეც აღმოუჩენია — წარსულში ცნობილი მეჩოგნე, ასევე სლოვაკი, 30 წლის კარინა ჰაბსუდოვა. მისმა ზიგიმ თურმე გვარიანად ინებივრა რამდენიმე დღე და ღამე ქალაქ სკალიცეში. ამას თურმე ჰოკეის მსოფლიოს ჩემპიონატის დროინდელი სასიამოვნო მოგონებებიც უსწრებდა წინ. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ისინი მას შემდეგ შეხმატკბილდნენ, რაც ჩობოროვამ გააცნო ერთმანეთს.



**ზორა ჩობოროვა ჩვეულ ფორმაში**



**ზორა და ზიგმუნდი**



**– და კარინა ჰაბსუდოვა, ვისთან კოტრიალობაც ძვირად დაუჯდა და დაუჯდება ზიგმუნდს**

პალფი თავის ახალ სატრფოს პირველად ზორას ფიტნესკლუბში შეხვდა, მერე კი ქალმა ჩოგბურთის გაკვეთილებიც შესთავაზა და... ჩვენმა დონჟუანმა დაკუნთულ კულტურისტს ცქრიალა ჩოგბურთელი ამჯობინა. სწორადაც მოიქცა, თუ მასაც მიატოვებს, ნაკლები მაინც მოხვდება.

ჩობოროვამ ჯერ არ მიმართა სასამართლოს, მაგრამ შურისძიებაზე ხელი არ აუღია. სამწლიანი ურთიერთობის გაწყვეტის გამო ზიანი ხომ ნახა, თუნდაც მორალური. საამისოდ ნიადაგი უკვე მოსინჯა და პალფის მრავალმილიონიანი ხელფასისგან ალბათ ზორბა კომპენსაციას მიიღებს.

მეჩოგნე კი მხრებს იჩეჩავს და ამბობს, რა საწყენია, ზორა თავის პრობლემებში სხვა ადამიანების ჩათრევას რომ ცდილობსო.

**სამველ ლარიბიანი**

# გაიმარჯვა

აი, ამ კაცმა, ამერიკელმა მაიკლ ფელპსმა, წყალში ჩახტომის მერე საშუალო დისტანცია თავისუფალი სტილით 1 წუთსა და 49,33 წამში გაცურა. ეს ამბავი სიდნეურ ტურნირზე მოხდა. ფელპსს ოქროს მედალი ერგო.



REUTERS სიდნეიდან



REUTERS მელბურნიდან

# გაიღიმეთ

მელბურნელ ფოტორეპორტიორს ლეიტონ ჰიუიტისა და მარკ ფილიპუსისის ღიმილიანი ჩამოსხდომა გადაუღია. ისინი „როდ ლეივერ არენაზე“ ესპანეთსა და ავსტრალიას შორის დევისის თასის მატჩისთვის ემზადებოდნენ.

# გენიოსი აზიაში



REUTERS შანხაიდან

ვერ გეტყვით გენიალურ დიეგო მარადონას რა ბიზნესი აქვს, მაგრამ ავერ, ჰქონია და საქმეების მოსაგვარებლად ჩინეთშიც ჩასულა. შანხაის აეროპორტში მას ზურგზე ავტოგრაფები წააწერინეს.

# მეორეს შეხედეთ

ეს ფოტო პავაილანაა და მისი მთავარი გმირი სულაც არ არის ის, ვისკენაც თქვენ თვალი გაგექცათ. მთავარი გმირი 24 წლის მოსერფინგე, ავსტრალიელი ტორი ბრუკსია, რომელმაც შეჯიბრების პირველი ეტაპი მოიგო და კისერზე ტროპიკული ყვავილების გვირგვინს ჰკიდებენ.




REUTERS ბელსბიჩიდან



REUTERS რიჩმონდიდან

# მს კი ასე შზმრავს

ინგლისის პრინცი ჰარი სიდნეიდან 50 კილომეტრში, რიჩმონდში, პოლოს უბერავს. პრინცმა პირველ ნომრად ითამაშა, მისმა ინგლისმა კი თანატოლთა ავსტრალიას 6:4 აჯობა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა ყანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, ხვთისო ჯულიაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხიმშიაშვილი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუზურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ლევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge